www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 15 სექტემბერი, 2012 წელი. | №3112 (205) | ფასი 50 თეთრი

14 ისლამური ქვეყანა - ანტიდასავლური განწყობა

ხათუნა გაბიევი

ისლამურ სამყაროში არეულობ? მეხუთე დღეა გრძელდება და ძალადობაც სულ უფრო მატულობს. ანტიმუსლიმური ფილმის "მუსლიმთა უმანკოების" გამო პირველი იერიშები უკვე ევროპული სახელმწიფოების დიპლომატიურ მისიებზეც მიაქვთ. გამძვინვარებული ბრბოს სამიზნე სუდანში გერმანიისა და დიდი ბრიტანეთის საელჩოები გახდნენ.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

ასე იოლია ევროკომისრის მოტყუება?

მარი ახსიაშვილი

ევროკომისარი გაფართოებისა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში შტეფან ფიულე კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერს ბიძინა ივანიშვილს პარტიათა საარჩევნო ქცევის წესებზე ხელის მოწერას სთხოვს. ამის შესახებ რადიო "თავისუფლება" შტეფან ფიულეს სპიკერ პეტერ სტანოს განცხადებაზე დაყრდნობით წერს. როგორც სტანომ მედიასაშუალებას უთხრა, ფიულესა და ივანიშვილის შეხვედრა ბრიუსელში მხოლოდ იმ შემთხვევაში შედგება, თუ კოალიცია ქცევის წესების დეკლარაციას შეუერთდება.

"ბატონ ბიძინა ივანიშვილისგან თხოვნა მივიღეთ, რომ მომავალ კვირას ბრიუსელში შედგეს მისი და შტეფან ფიულეს შეხვედრა. ბატონი ფიულე მზად არის მასთან შესახვედრად, თუ მიიღებს დაპირებას, რომ ბატონი ივანიშვილის პარტია "ქართული ოცნება" ხელს მოაწერს ქცევის კოდექსს საქართველოში მოახლოებული საპარლამენტო არჩევნებისათვის და რომ "ქართული ოცნებისათვის" მისაღები იქნება არჩევნების შედეგები, თუ მათ ლეგიტიმურად მიიჩნევენ ავტორიტეტიანი სამეთვალყურეო ორგანიზაციები, უწინარეს ყოვლისა, ეუთო და ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი," - განაცხადა პეტერ სტანომ, რადიო "თავისუფლების" ცნობით.

თუმცა კოალიცია "ქართული ოცნება" დაბეჯითებით აცხადებს, რომ ბიძინა ივანიშვილს პარტიების ქცევის კოდექსისთვის ხელი მოწერილი აქვს.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

იაპონია ბირთვულ ენერგიაზე უარს 2030 წლისათვის იტყვის

თამთა კახაძე

იაპონიის მთავრობის განცხადებით, ისინი ბირთვული ენერგიის გამოყენების შეწყვეტას 2030 წლისათვის აპირებენ.

გასულ წელს, ფუკუშიმას ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარი კატასტროფის შემდეგ, ბირთვულ ენერგიაზე უარი იაპონიამდე გერმანიამ და შვეიცარიამ თქვეს.

2011 წლის 11 მარტის კატასტროფამდე იაპონია მსოფლიოში ატომური ენერგიის მესამე უმსხვილესი მომხმარებელი იყო.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

პოლიტიკური პლაკატები გვახსენებენ

ბელა ჩეკურიშვილი

ადამიანთა მეხსიერება ხანმოკლეა, მაგრამ თუკი განვლილ 20 წელს გონების თვალით გადავხედავთ, ყველაფერთან ერთად უთუოდ ამოტივტივდება არჩევნები, წინასაარჩევნო პლაკატები და მათზე გამოსახურული მოწოდებები: "ენა, მამული, სარწმუნოება", "ედუარდ შევარდნაძე: ძლევამოსილი საქართველოსათვის!", "მილიონი სამუშაო ადგილი", "საქართველო კორუფციის გარეშე", "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს", "დასაქმება და დაბალი ტარიფები", "ერთად ვმართოთ საქართველო" და სხვა და სხვა.

გუშინ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა გამოფენა "პოლიტიკური პლაკატი - საქართველოს არჩევნების ისტორია". გამოფენა 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებს ეხმაურება და მისი მიზანია, შეახსენოს საზოგადოებას საარჩევნო გამოცდილება, რომელიც საქართველოში 1990 წლიდან დაგროვდა.

როგორც ისტორია გვიჩვენებს, 1990 წლიდან დღემდე საქართველოში 16 სხვადასხვა სახის არჩევნები ჩატარებულა - საპარლამენტო, საპრეზიდენტო, საკრებულოსა და ქალაქის მერის.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6492⇓
1 ევრო	2.1290⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.6564⇓
1 თურქული ლირა	0.9099⇓
100 რუსული რუბლი	5.2524⇓

თბილისი	28°C - 17°C
ქუთაისი	30°C - 19°C
თელავი	28°C - 14°C
ზუგდიდი	29°C - 16°C
ბათუმი	28°C - 19°C

ნავთობი	3.24	+0.03	+0.92%
გაზი	2.94	-0.09	-3.23%
ოქრო	1,775.40	+3.30	+0.19%
ხორბალი	926.00	+24.00	+2.59%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

TBC BANK
FM 102.4
BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121

ბერეზოვსკი და პატარკაციშვილის ოჯახი დაზავდნენ

უცხოური პრესის მიერ გავრცელებული ინფორმაციების მიხედვით, რუსმა ოლიგარქმა ბორის ბერეზოვსკიმ, რომან აბრამოვიჩთან ხმაურიანი სასამართლო პროცესის წაგების შემდეგ, ყოფილი პარტნიორის, გარდაცვლილი ბადრი პატარკაციშვილის ოჯახთან დაზავების შეთანხმებას მოაწერა ხელი. ბერეზოვსკის ინტერესების დამცველი იურიდიული კომპანიის Addleshaw Goddard-ის განცხადებით, ამით, ბერეზოვსკიმ, პატარკაციშვილის ოჯახთან სამართლებრივი დავა შეწყვიტა.

გავრცელებული ინფორმაციით, მხარეებმა უკვე გაიწვიეს სარჩელები, რომლებიც ერთმანეთის წინააღმდეგ ლონდონის სასამართლოში ჰქოდათ შეტანილი.

"შეთანხმების დეტალები კონფიდენციალურია და ამ საკითხზე კომენტარები არ გაკეთდება," - ნათქვამია ბორის ბერეზოვსკის ინტერესების დამცველი იურიდიული კომპანიის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

ბორის ბერეზოვსკი გარდაცვლილი ბიზნესმენის ოჯახისგან 3 მილიარდ დოლარს ითხოვდა. საუბარი იყო 3 მილიარდი დოლარის აქტივებზე, რომელიც მოსარჩელე მხარის მტკიცებით, ცენტრალური აზიისა და სამხრეთ ამერიკის სივრცეში, სხვადასხვა კომპანიებში იყო ჩადებული.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

"ლიგამუსმა" ჩემპიონთა ლიგისკენ ნაბიჯი გადადგა

გიგა გურასაშვილი

"ოლიმპიკის" საწყლოსნო კომპლექსში დაიწყო წყალბურთელ ვაჟთა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო თამაშები. პირველი დღე "საბადელისა" (ესპანეთი) და "ვიტბიჩის" (ბელარუსი) შეხვედრით დაიწყო და "ლიგამუსი-თბილისი"-"არკონიას" (პოლონეთი) შეხვედრით გაგრძელდა. პირველ შეხვედრაში ბელარუსულმა კლუბმა 7:6, მეორეში კი საკმაოდ იოლად "ლიგამუსმა" გაიმარჯვა 16:4.

გაგრძელება
მე-8 გვერდზე

"ლიგამუსმა" ტურნირი გამარჯვებით დაიწყო

გიორგი ბასარიძის ფოტო

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას მანდატი გაუხანგრძლივდა

საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას მანდატი 1 წლით - 2013 წლის 14 სექტემბრამდე გაუხანგრძლივდა. ამ პერიოდში ევროკავშირი ბიუჯეტიდან 20,9 მილიონ ევროს გამოყოფს.

როგორც საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში ევროკომისარმა ქეთრინ ეშტონმა განაცხადა, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში უსაფრთხოებისა და სტაბილურობისთვის გასული ოთხი წლის განმავლობაში.

"მივესალმები მანდატის გაგრძელებას ერთი წლით, რომელიც მისცემს მისიას შესაძლებლობას, გააგრძელოს ძალისხმევა კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ყოველდღიური ცხოვრების გაუმჯობესებისთვის," -განაცხადა ეშტონმა.

ევროკავშირში მიაჩნიათ, რომ ჟენევის დისკუსიების მონაწილე ყველა მხარემ კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების მისაღწევად ძალისხმევა უნდა გააგრძელოს. ამასთან, ევროკავშირი მოუწოდებს რუსეთს, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 6-პუნქტიანი შეთანხმება შეასრულოს.

"ფრანს პრესი" ივანიშვილზე წერს

"ქართული ოპოზიციის მილიარდერი ლიდერი მიხეილ სააკაშვილს "პროფესიონალ მატყუარასა" და "ძაღლის შვილს" უწოდებს და მილიონიანი საპროტესტო აქციებით იმუქრება, თუ არჩევნები გაყალბდება," - ამ სიტყვებით იწყება ბიძინა ივანიშვილთან ინტერვიუ "ფრანს პრესში".

"მაგნატმა უარი განაცხადა, გაეკრიტიკებინა რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი, რომელიც სააკაშვილის ჩამოკიდებით იმუქრებოდა," - წერს ავტორი.

ივანიშვილმა თავისი გადაწყვეტილება "ფრანს პრესთან" საუბრისას შემდეგი სიტყვებით ახსნა: "არ მინდა პუტინის გაკრიტიკება იმიტომ, რომ არ მინდა, მივბაძო სააკაშვილს და დავიწყო დიდი ქვეყნის კრიტიკა. ჩვენ მოგვიწევს, ვილაპარაკოთ რუსეთთან, რომ მოვახდინოთ ჩვენი ურთიერთობების ნორმალიზება და მე არ მინდა, ამას ხელი შევუშალო."

ინტერვიუში "ქართული ოცნების" ლიდერი ჰყვება, რომ სააკაშვილთან ურთიერთობა 2007 წლის შემდეგ გაწყვიტა. "ის ძაღლის შვილია, რადგან მომატყუა, თითქოს ჩემი რჩევის გამო გადადგა, სინამდვილეში კი მასზე ზეწოლა ამერიკელებმა მოახდინეს," - "ფრანს პრესის" ინფორმაციით, აცხადებს ბიძინა ივანიშვილი.

გარდაიცვალა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბანკო ტექნოლოგიების დეპარტამენტის სრული პროფესორი, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი **ზურაბ ჩხაიძე.**

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ზურაბ ჩხაიძე კათედრაზე დატოვეს, სადაც გაიარა ასპირანტურა და დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1984-1993 წლებში მუშაობდა საქართველოს განათლების სამინისტროს სამეცნიერო სასწავლო-საწარმოო გაერთიანება - "ინფორმატიკის" გენერალური დირექტორის პირველ მოადგილედ. პარალელურად, საქმიანობდა საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალურ ინსტიტუტში. 1996 წლიდან მუშაობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბანკო საქმის კათედრაზე, სადაც დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა პროფესორის წოდება. იგი იყო ტექნიკური უნივერსიტეტის უმაღლესი მმართველობითი ორგანოს - აკადემიური საბჭოს წევრი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, ჟურნალ "ბიზნეს-ინჟინერინგის" ელექტრონული ვერსიის მთავარი რედაქტორი.

ზურაბ ჩხაიძე ტექნიკურ უნივერსიტეტში საბანკო და საფინანსო ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი იყო და ეწეოდა ბაკალავრების, მაგისტრარებისა და დოქტორანტების მომზადების სრულყოფასა და სამეცნიერო დონის ამაღლებას, სასწავლო პროცესების ორგანიზაციისა და მართვის უახლესი მეთოდების დანერგვას ტექნიკურ უნივერსიტეტში. ამ მიმართულებით მან 5 სახელმძღვანელო შექმნა.

1995 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა "ვი-თი-ბი" ბანკის ინფორმატიკის სამმართველოს უფროსად, სადაც დანერგა ორიგინალური საბანკო და საფინანსო ტექნოლოგიები.

1990 წელს მას მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში შეტანილი წვლილისთვის.

ნატო პროცესების კონსტიტუციურ ჩარჩოებში განვითარებას იმედოვნებს

დათო გამისონია

ნატო-ში ესტონეთისა და ლიტვის მუდმივმა წარმომადგენლებმა, ასევე, ალიანსში პოლონეთის ელჩის მოადგილემ საქართველოში, ვიზიტი გუშინ დაასრულეს. დელეგაციამ ცენტრალური შეხვედრა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ თორნიკე გორდაძესთან გამართა. მოლაპარაკების შემდეგ თორნიკე გორდაძემ ჟურნალისტებს უთხრა, რომ ამჟამად საქართველო-ნატოს დიალოგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეატპია. მისი თქმით, მუდმივი წარმომადგენლების ვიზიტი იმის მაჩვენებელია, რომ საქართველო-ნატოს ურთიერთობები დინამიურად ვითარდება. **"კარგად გახსოვთ, რამდენიმე დღის წინ საქართველოში ნატო-ს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი იმყოფებოდა. იმათ, ვინც ამბობს, რომ ნატო-საქართველოს ურთიერთობებს არანაირი პერსპექტივა არ აქვს, გენერალური მდივნის სიტყვები უნდა ახსოვდეს - საქართველოს სახლი ნატო-შია,"** - განაცხადა თორნიკე გორდაძემ.

სახელმწიფო მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს ნატოსთან ურთიერთობაში ინსტრუმენტები გააჩნია. **"ესენია: ნატო-საქართველოს კომისია და წლიური ეროვნული პროგრამა, რომლის შესრულება წარმატებით მიმდინარეობს,"** - დასძინა გორდაძემ.

ესტონეთის მუდვივმა წარმომადგენელმა ნატო-ში ლაური ლეპიკმა ჟურნალისტებთან საქართველოში დელეგაციის ვიზიტი შეაჯამა. **"მნიშვნელოვანი იყო, საკუთარი თვალით გვენახა ის პროგრესი, რაც საქართველოშია,"** - აღნიშნავს ლეპიკი. მისი თქმით, ესტონეთის მთავრობა საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებებს მყარად უჭერს მხარს.

ლეპიკმა იმედი გამოთქვა, რომ საპარლამენტო არჩევნები გამჭვირვალე და თავისუფალი იქნება. **"მნიშვნელოვანია, რომ არჩევნების შემდგომი პერიოდი საკონსტუტიტუციო ჩარჩოებში დარჩეს. ეს არა მხოლოდ ესტონეთის, არამედ საერთაშორისო თანამეგობრობის სურვილია,"** - აღნიშნავს ლაური ლეპიკი.

დელეგაციის წევრებს დასკვნითი შეხვედრები საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძესთან, შემდეგ კი პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძესთან ჰქონდათ.

ოფიციალური შეხვედრების დაწყებამდე სამივე დიპლომატი გორის სამხედრო ბაზას სტუმრობდა. ისინი გორში ჩასახლებულ დევნილებსაც შეხვდნენ.

ბერეზოვსკი და პატარკაციშვილის ოჯახი დაზავდნენ

როგორც უცხოური პრესა წერდა, დაახლოებით ორი წლის წინ, ბერეზოვსკი ამტკიცებდა, რომ პატარკაციშვილის ოჯახის კონტროლის ქვეშ არსებული აქტივების 50 პროცენტი სწორედ მისი იყო, რომელიც პატარკაციშვილისთვის არაფორმალური მოლაპარაკებების ფარგლებში ჰქონდა გადაცემული.

პირველი გვერდიდან

რუსი ოლიგარქის მხრიდან ქართველი პარტნიორის ქონებაზე პრეტენზია, ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალებიდან ერთი წლის თავზე, ჯერ კიდევ მაშინ გამოითქვა, როდესაც თბილისის საქალაქო სასამართლო გარდაცვლილი ბიზნესმენის ქონებასთან დაკავშირებით, ამ ქონების მემკვიდრედ გამოცხადებულ ჯოზეფ ქეისა და პატარკაციშვილის ქვრივს ინა გუდავაძეს შორის გამართულ დავას განიხილავდა.

"პატარკაციშვილი 20 წლის განმავლობაში ბორის ბერეზოვსკის პარტნიორი იყო. ახლა კი ბერეზოვსკის და გუდავაძეს მხოლოდ ადვოკატის მეშვეობით აქვთ კონტაქტი. ბერეზოვსკისა და ინა გუდავაძეს შორის ურთიერთობა საბოლოოდ, ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ დაიძაბა. ბერეზოვსკი ყოფილი პარტნიორის ქონების ნახევარზე აცხადებს პრეტენზიას, პატარკაციშვილს ქვრივის ინა გუდავაძის განმარტებით კი ბერეზოვსკის ამ ქონებაზე არანაირი უფლება არ აქვს. პატარკაციშვილის ქვრივმა მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც, აქტივების ნახევრის ბერეზოვსკის მფლობელობაში ყოფნა აღიარა, თუმცა, მოგვიანებით, გუდავაძემ გადაწყვეტილება შეცვალა და განაცხადა, რომ ბერეზოვსკის მოთხოვნა უკანონოა," - წერდა The Sanday Times. გამოცემის ინფორმაციით, ბერეზოვსკის მიაჩნდა, რომ მეგობრის ქონების ნახევარი მემკვიდრეობით მას ეკუთვნოდა.

The Sanday Times-ის მტკიცებით, ბადრი პატარკაციშვილის ქონება 6 მილიარდ ფუნტ სტერლინგად იყო შეფასებული. საქმე ისაა, რომ ბადრი პატარკაციშვილის ოჯახმა ბორის ბერეზოვსკისთან გამიჯვნის თაობაზე განცხადება ბიზნესმენის გარდაცვალებიდან რამდენიმე თვეშივე გააკეთა. გარდაცვლილის ოჯახის წევრები მაშინ აცხადებდნენ, რომ მათ ბიზნესმენ ბორის ბერეზოვსკისთან ყველანაირი ურთიერთობა - პოლიტიკური, ეკონომიკური და ბიზნესკავშირები გაწყვიტეს.

"მსურს, კიდევ ერთხელ, ცალსახად დავადასტურო, რომ პატარკაციშვილების ოჯახი ბორის ბერეზოვსკის შეხედულებებსა და პირად მისწრაფებებს პოლიტიკასა და ბიზნესთან მიმართებაში არ იზიარებს და მასთან თანამშრომლობას კატეგორიულად ემიჯნება. ჩვენი ოჯახი რუს ოლიგარქთან რაიმე სახის საქმიან თუ პოლიტიკურ თანამშრომლობაში არ იმყოფება და ამგვარი კავშირების დამყარებას არც ესწრაფვის. ბერეზოვსკი ჩემი მეუღლის ბიზნესპარტნიორი იყო, მაგრამ მათ ე.წ. ეკონომიკური გაყრის შესახებ 2006 წელს განაცხადეს. თუკი ბერეზოვსკის მიაჩნია, რომ პატარკაციშვილის ქონებაში რაიმე წილი ეკუთვნის, უფლება აქვს, სასამართლოს მიმართოს," - ნათქვამი იყო განცხადებაში, რომელიც, თავის დროზე, პატარკაციშვილის ოჯახის პრესსამსახურმა ინა გუდავაძის სახელით გაავრცელა.

"ხელთ მაქვს ყველა აუცილებელი მტკიცებულება იმისთვის, რომ სასამართლოში დავიცვა საკუთარი უფლებები პატარკაციშვილის ქონებაზე," - აცხადებდა უცხოურ მედიასთან საუბრისას ბორის ბერეზოვსკი.

"სოკარი" საქართველოში ინდუსტრიულ ზონას აშენებს

ნინო ნარჩემაშვილი

ქუთაისისა და ფოთის შემდეგ ახალი თავისუფალი ინდუსტრიული ზონა ყულევში იქმნება. 600 ათასამდე კვადრატულ მეტრ ფართობზე ახალ ინდუსტრიულ ზონას "სოკარ ჯორჯია ინვესთმენთი" ააშენებს. სტრატეგიული განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელის ივა დავითაიას განცხადებით, ყულევის ინდუსტრიული ზონის მთავარი მიზანი ინვესტორებისთვის სასურველი გარემოსა და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნაა. მისი თქმით, "სოკარ ჯორჯიამ" 2013 წლის ბოლომდე ყულევის ინდუსტრიული ზონის განვითარების სტრატეგიული გეგმა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან შეთანხმებით უნდა დაამტკიცოს და 2014 წლიდან აამოქმედოს. ახალი ინდუსტრიული ზონა 99 წლის ვადით შეიქმნება.

შეგახსენებთ, რომ აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია "სოკარი" (SOCAR) აპირებს, აზოტის სასუქისა და კარბამიდის ქარხნის მშენებლობისას საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებული საკანონმდებლო შეღავათებით ისარგებლოს.

კომპანიამ საქართველოს ხელისუფლებას მომავალი ქარხნების მშენებლობისთვის თავისუფალი სამრეწველო ზონის სტატუსის მიღების თხოვნით მიმართა. "თავისუფალი ინდუსტრიული ზონის სტატუსის მიღება საშუალებას მოგვცემს, მომავალი ქარხნის ტერიტორია განვსაზღვროთ, შევქმნათ ინფრასტრუქტურა და მომავალი მშენებლობისთვის სამუშაოები დავიწყოთ," - აცხადებენ კომპანიაში. საქართველოში SOCAR-ის ქარხანა ფოთისა და ყულევის პორტებს შორის, შავი ზღვის სანაპიროზე განთავსდება, უშუალოდ მშენებლობა კი 2013 წელს დაიწყება. პროექტის მიხედვით, აზერბაიჯანსა და საქართველოში ორი იდენტური ქარხნის აგება იგეგმება, რომელთა სიმძლავრე წელინადში 600-650 ტონა პროდუქცია იქნება. წინასწარი ინფორმაციით, ინვესტიციები 500 მილიონ დოლარს მიაღწევს.

აღსანიშნავია, რომ ქუთაისში ერთი თავისუფალი ზონა უკვე მოქმედებს. ინდუსტრიული ზონა ეგვიპტურმა "ფრეშმა" და მისმა ქართველმა პარტნიორმა "ჯორჯიან ინტერნეიშენელ ჰოლდინგმა" მოაწყვეს. ქუთაისის მეორე ინდუსტრიულ ზონას ჩინური კომპანია "ჰანგლი ინდასთრი" შექმნის. ფოთში უკვე არაბული "რაკ ჯორჯია ჰოლდინგი" აშენებს მოცემულ ზონას და, როგორც ცნობილია, იგი უკვე მოქმედებს. თბილისში ასეთივე ზონის შექმნას ებრაული კომპანია "ტერა ერთი" აპირებს. აჭარაში, კერძოდ კი, ხელვაჩაურის რაიონში, ინდუსტრიული ზონის შესაქმნელად ადგილობრივი მთავრობა ინვესტორებს ეძებს. როგორც ცნობილია, მისი მთავარი პირობა ორი ათასზე მეტი სამუშაო ადგილის შექმნა იქნება.

ექსპერტების შეფასებით, თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შექმნა გავლენას ახდენს ისეთ მაკროეკონომიკურ ცვლადებზე, როგორებიცაა: წარმოების მოცულობა, უმუშევრობა, ინფლაცია, სავაჭრო ბალანსი. წმინდა თეორიული თვალსაზრისით, თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნამ უნდა გამოიწვიოს წარმოების ზრდა და, შესაბამისად, უმუშევრობის შემცირება. ამით თიზ ზონები დადებით ზეგავლენას ახდენენ ეკონომიკაზე.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონებით მენარმეები შემდეგი მიზეზების გამო ინტერესდებიან: მოგების გადასახადი არ არსებობს ან უმნიშვნელოა; ფირმის რეგისტრაციის პროცედურა მაქსიმალურადაა გამარტივებული; არ არსებობს შეზღუდვა ვალუტის ზონაში შეტანასა და გატანაზე; ფირმის მართვის პროცედურა მეტად მარტივია.

მაგრამ აქ არის რამდენიმე მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი ფაქტორიც: თავისთავად, როდესაც ჩნდება ტერიტორია, სადაც შესაძლებელია პროდუქციის წარმოება გადასახადების გადახდის გარეშე, ასეთი სივრცე ნებისმიერი მეწარმისთვის მიმზიდველი ხდება. მაგრამ საწარმო, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებდა ზონის გარეთ ტერიტორიაზე, იძულებული იქნება, თავისი წარმოება გადაიტანოს თიზ-ში, რადგან მისთვის კონკურენციის გაწევა საწარმოებისთვის, რომლებიც გადასახადს არ იხდიან, რთული იქნება.

თიზ-ის დადებითი თვისება არის ის, რომ მას შეუძლია, მოიზიდოს კაპიტალი უცხოეთიდან და მოხდეს ასევე ტექნოლოგიების შემოდინება.

თუმცა, წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით, მსგავსი ზონების შექმნით გარკვეულწილად ფერხდება კონკურენცია. გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ მსოფლიოში დღეს არსებული 3000-ზე მეტი თავისუფალი ეკონომიკური ზონიდან მხოლოდ 20 პროცენტი თუ არის ნამდვილად ეკონომიკურად წარმატებული.

თავისუფალი ეკონომიკური ზონების ფუნქციონირების ერთ-ერთ ეფექტურ მაგალითს დუბაის თიზ-ი "ჯებელ ალი" ე.წ. "დუბაის სასწაული" წარმოადგენს. ზონა შექმნილია მსოფლიოს უმსხვილეს ხელოვნურ ნავსადგურში, სპარსეთის ყურის რეგიონში. ზონაში წარმოდგენილია საქმიანი აქტივობის მთელი სპექტრი, წარმოებისა და მომსახურების ჩათვლით. "ჯებელ ალში" 58 ქვეყნის 700-მდე კომპანია მოქმედებს, 1,1 მლრდ დოლარის ინვესტიციების საერთო მოცულობით.

ინდოეთი თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ორგანიზების მოუფიქრებელ კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს. თავისუფალი სავაჭრო ზონა "კანდლა" ტერიტორიულად არახელსაყრელ ადგილას აღმოჩნდა, რომელსაც არ გააჩნდა შესაბამისი ინფრასტრუქტურა და არსებითი სტიმულები განვითარებისთვის, რის შედეგადაც იქ მოქმედება მხოლოდ რამდენიმე ინდურმა ფირმამ დაიწყო.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ასე იოლია ევროკომისრის მოტყუება?

პირველი გვერდიდან

ამის შესახებ გუშინ "ქართული ოცნების" რამდენიმე ლიდერმა განაცხადა. "რესპუბლიკელი" დავით უსუფაშვილის თქმით, კოალიცია დეკლარაციას მიერთებულია, მაღალი რანგის უცხოელი დიპლომატები კი ხელისუფლებას შეცდომაში შეჰყავს.

მსგავს განცხადებას აკეთებს კოალიცია "ქართული ოცნების" ერთ-ერთი ლიდერი თინა ხიდაშელიც. მისი აზრით, გაფართოებისა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარი შტეფან ფიულე საქართველოს ხელისუფლებამ შეცდომაში შეიყვანა.

"ჩვენ 6 აგვისტოს გავაკეთეთ ოფიციალური განცხადება, რომ შევუერთდით არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ პარტიათა ქცევის წესებთან დაკავშირებით შემუშავებულ 17-პუნქტიან ქარტიას. ვწუხვარ, რომ ეს ჩინოვნიკი ხელისუფლების პროპაგანდასა და ტყუილებს შეცდომაში ჰყავს შეყვანილი," - აცხადებს ხიდაშელი.

მოგვიანებით რადიო "თავისუფლების" ცნობას გამოეხმაურა "ქართული ოცნების" პრესსპიკერი მაია ფანჯიკიძე და განაცხადა, რომ კოალიცია ქცევის წესების დეკლარაციას მიერთებულია. მან ისიც თქვა, რომ **"ივანიშვილს შტეფან ფიულესთან ვიზიტი დაგეგმილი არ აქვს, შესაბამისად, არც მასთან შეხვედრის თხოვნას და პირობების დაყენებას ადგილი არ ჰქონია."**

დღის ბოლოს კი თავად "ქართული ოცნების" ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა საგურამოში, სანერგე მეურნეობაში ფერმერებთან შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ შტეფან ფიულეს ინფორმაცია არასწორად მიაწოდეს.

"კოალიციამ ქცევის წესებს სინამდვილეში ხელი მოაწერა და შტეფან ფიულე მოატყუეს. მას ხელისუფლებამ ინფორმაცია არასწორად მიაწოდა. ირაკლი ალასანია ფიულეს გუშინ შეხვდა და ყველაფერი განუმარტა," - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა. მან იქვე აღნიშნა, რომ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს მომავალ კვირას ბრიუსელში აპირებს გამგზავრებას, არასწორია და ჯერ არაფერი დაუგეგმავს.

"ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" პარტიათა ქცევის წესები ზაფხულში შეიმუშავა და პოლიტიკურ პარტიებს მასზე ხელის მოწერისაკენ მოუწოდა. "ნაციონალური მოძრაობის" პარტიათა ქცევის წესების მეოთხე პუნქტით, ხელმომწერი პარტიები იღებენ "პასუხისმგებლობას სანდო რეპუტაციის მქონე სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ ლეგიტიმურად მიჩნეული არჩევნების შედეგების აღიარებაზე." დეკლარაციას შეუერთდა ყველა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი, გარდა "ქართული ოცნებისა".

"ნაციონალური მოძრაობის" მიერ საარჩევნო ქცევის წესების შემუშავებიდან რამდენიმე კვირაში არასამთავრობო ორგანიზაციების ერთმა ნაწილმა დამოუკიდებელი, 17-პუნქტიანი დეკლარაცია შექმნა, რომელშიც აგვისტოს ბოლოს გარკვეული შესწორება შევიდა. თუმცა, როგორც "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" ხელმძღვანელი თამარ ჩუგოშვილი განმარტავს, არჩევნების შედეგების აღიარების ვალდებულება მხარეებს მხოლოდ იმ შემთხვევაში ეკისრებათ, თუკი წინასაარჩევნო კამპანია დეკლარაციაში შემავალი ყველა პუნქტის დაცვით წარიმართება. სწორედ ამაზე მოაწერა ხელი "ქართულმა ოცნებამ".

ერთობა მთავარ საკითხებში

მარი ახსიაშვილი

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკურ ძალებს ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საკითხების ირგვლივ გაერთიანებისკენ მოუწოდებს. ქვეყნის პირველმა პირმა პოლიტიკურ ოპონენტებს გუშინ ბაგრატის ტაძრის ეზოდან მიმართა. მისი განცხადებით, ის, რაც მხარეებს ერთმანეთისგან განასხვავებს, ძალიან მცირეა იმასთან შედარებით, რაც მათ აერთიანებთ.

"ჩვენ გვაერთიანებს მეფე ბაგრატის იდეა, ის, რისთვისაც იბრძოდა დავით აღმაშენებელი და ის, რასაც შეეწირა ილია ჭავჭავაძე. ესაა ძლიერი და ერთიანი საქართველო. ჩვენ შეიძლება გვქონდეს განსხვავებული ეკონომიკური ხედვები, მაგრამ არ შეიძლება, არ გვაერთიანებდეს მიზანი, აღარასდროს დავაბრუნოთ ჩვენი ქვეყანა კორუფციის ჭაობში; ჩვენ შეიძლება გვქონდეს განსხვავებული პოლიტიკა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი უნდა იყოს უსაფრთხოების პოლიტიკა, მაგრამ შეუძლებელია, არ გვაერთიანებდეს საერთო ნება - აღარასდროს დავუთმოთ ჩვენი ქვეყანა "კანონიერ ქურდებსა" და ორგანიზებულ დამნაშავეებს. ჩვენ შეიძლება სხვადასხვანაირად ვხედავდეთ საქართველოს საგარეო პოლიტიკას, მაგრამ წარმოუდგენელია, არ გვაერთიანებდეს საერთო მისწრაფება - მივაღწიოთ ჩვენი ქვეყნის დეოკუპაციას და გაერთიანებას. ჩვენ შეიძლება განსხვავებულად მოგვწონდეს და ვენდობოდეთ (ასეთი ხალხიც არსებობს) პუტინის რეჟიმს, მაგრამ შეუძლებელია, არ ვიყოთ ერთიანი ერთ რამეში - რომ რუსეთთან ურთიერთობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა ხდებოდეს საქართველოს ინტერესებისა და სუვერენიტეტის, თავისუფლების დათმობის ხარჯზე," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა და დაამატა, რომ შესაძლოა, ყველა განსხვავებულად უყურებდეს მსოფლიო პოლიტიკურ რუკას, მაგრამ ყველას უნდა აერთიანებდეს საქართველოს მრავალსაუკუნოვანი მისწრაფება ევროპისკენ და მის მიერ რეფერენდუმით გამოხატული სურვილი - საქართველო გახდეს ნატო-ს წევრი ქვეყანა.

მისივე თქმით, პოლიტიკურ ძალებს შორის განსხვავებების მიუხედავად, მათ გაერთიანება უნდა შეძლონ, როგორც საქართველოს პატრიოტებმა.

მრავალი განსხვავების მიუხედავად, პრეზიდენტმა ყველა ძალას ერთიანობისკენ მოუწოდა.

"გავერთიანდეთ საქართველოს მთავარი მიზნის ირგვლივ, რათა არასდროს დაბრუნდეს საქართველო კორუფციულ გარემოში. შევთანხმდეთ, რომ გავაერთიანებთ საერთო ნებას იმასთან დაკავშირებით, რომ აღარასდროს დავუშვებთ "კანონიერი ქურდებისა" და ორგანიზებული დანაშაულის თარეშს ჩვენს ქვეყანაში, ერთიანი ძალებით ვიბრძოლებთ რუსული საოკუპაციო ძალების გასაყვანად და ქვეყნის გასაერთიანებლად. გავერთიანდეთ იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთთან ურთიერთობას არასდროს ავაწყობთ ჩვენი ეროვნული ინტერესებისა და სუვერენიტეტის დათმობის ხარჯზე. არასდროს აღარ ვიქცევით მონებად. შევთანხმდეთ, რომ ერთად ვიქნებით ერთგული ქართველი ხალხის ევროპული მისწრაფებისა და ერთად ვიღვაწებთ საქართველოს ნატო-ს წევრობის სტატუსის მოსაპოვებლად," - აღნიშნა ქვეყნის პირველმა პირმა და დასძინა, რომ შიდა განხეთქილება და პარტიული დაპირისპირებები ქვეყანას კარგს არაფერს მოუტანს.

"ამ საქმეში ჩვენი პოლიტიკური ძალების ერთიანობა აუცილებელია. ის, რაც ჩვენ ყველაზე მეტად გვჭირდება, სტაბილურობა და ეკონომიკური განვითარებაა. ახლა შენების დროა. არც ერთი პოლიტიკოსის პირადი ამბიცია არ ღირს, რომ თუნდაც ერთი ოჯახის წინსვლა შეჩერდეს. მოდით, ნუ შევუშინდებით ერთიანობას! შევთანხმდეთ, რომ ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებში ვართ ერთად და ყველას - მტერსაც და მოყვარესაც ხმამაღლა განვუცხადოთ, რომ ყველა ჩვენგანი, პირველ რიგში, საქართველოს პატრიოტია და მხოლოდ ამის შემდეგ არის "ქრისტიან-დემოკრატი", "ლეიბორისტი", "მეოცნებე", "მემარჯვენე" თუ "მემარცხენე," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა და აღნიშნა, რომ ბაგრატის ტაძარი უკვე აღდგენილია, როგორც ერთიანობის, უკვდავების, გატეხილის აღდგენის სიმბოლო.

"მე ვუერთდები პატრიარქის მოწოდებას, რომ ყველა მოვიდეთ ტაძრის კურთხევაზე. არის საკითხები, რაშიც არ შეიძლება გაყოფას გავუსვათ ხაზი," - დასძინა პრეზიდენტმა და ბაგრატის ტაძრის აღდგენაში მონაწილე ყველა პირს მადლობა გადაუხადა.

"მინდა, მადლობა გადავუხადო ყველა მუშას, ყველა მშენებელს, ყველა ინჟინერს. მინდა, განსაკუთრებული მადლობა ვუთხრა უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს, რომლის ლოცვა-კურთხევა გადამწყვეტი იყო ამ დიდებული საქმის დაგვირგვინებისთვის. თუმცა დღევანდელი დღის მთავარი გმირი არის არა ის, ვინც ტაძარი აღადგინა, არამედ ის, ვინც ეს დიდებული ტაძარი თავის დროზე ააგო - მეფე ბაგრატი. სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი იმას, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი ეროვნული არსებობისა და სახელმწიფოებრივი წარმატებისთვის - ერთიანობას. სახელმწიფო გერბზე შემთხვევით არაა ამოტვიფრული სიტყვები "ძალა ერთობაშია", ჩვენი ერთიანობა, ჩვენი ერთარსებობა არის ის ერთადერთი და უმთავრესი ძალა, რომელიც განაპირობებს ჩვენი მცირერიცხოვანი ერის უკვდავებას", - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა და აღნიშნა, რომ საქართველო ყოველთვის მიდიოდა წინ მაშინ, როცა ქართველი ერი ერთად იყო და ყოველთვის იძირებოდა უკუსვლის მორევში მაშინ, როცა გაერთიანებას ვერ ახერხებდა. მისივე თქმით, ის ბედნიერია, რომ იმ თაობას წარმოადგენს, რომელმაც ბაგრატის ტაძრის აღდგენა შეძლო.

"მახსოვს, 4 წლის წინ მოგმართეთ ამ ტაძრის ნანგრევებიდან და ვთქვი, რომ ჩვენ დავიწყებდით მის აშენებას, რაც იქნებოდა სიმბოლო დანარჩენი საქართველოს მშენებლობისა. ჯერ მთელი საქართველო არ აშენებულა, მაგრამ ხედავთ ბაგრატის ტაძარს, რომელიც აღდგენილია. ეკლესიის აშენება და აღდგენა ყველაზე დიდი ღვაწლია ნებისმიერი ქართველისთვის. ბედნიერი ვარ, რომ, როგორც საქართველოს პრეზიდენტს, წილად მერგო შესაძლებლობა, ჩემი მოკრძალებული წვლილი შემეტანა მის აღდგენაში და ბედნიერი ვარ, რომ იმ თაობის შვილს წარმოვადგენ, რომელმაც შეძლო ბაგრატის ტაძრის აღდგენა," - აღნიშნა პრეზიდენტმა.

ქუთაისამდე კი საქართველოს პრეზიდენტი წყალტუბოს მოსახლეობას შეხვდა. როგორც მიხეილ სააკაშვილმა ადგილობრივებთან სიტყვით გამოსვლის დროს განაცხადა, წყალტუბოს რეაბილიტაცია არის ერთ-ერთი ყველაზე ამბიციური გეგმა, რომელიც მას ჰქონდა. მისივე თქმით, დღეს იწყება წყალტუბოს დიდი რეაბილიტაციის პროექტი.

"ამით ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ განვდევნით წყალტუბოდან უპერსპექტივობას, უმუშევრობას, გაჭირვებას. ჩვენ დავუბრუნებთ აქაურობას მომავალს," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა. როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, თავად ძალიან მოუთმენელი ადამიანია.

"მინდა, ყველაფერი მოესწროს იმ დროში, სანამ მე თქვენთან და პოლიტიკაში ვარ ამა თუ იმ ფორმით. ჩემს მეგობრებთან ერთად ყველაფერს გავაკეთებ, რათა არც ერთი დაპირება არ დარჩეს ცარიელ სიტყვებად. ადამიანებმა ყოველდღიურად უნდა აღმოაჩინონ, რომ იმ დღესაც რაღაც გავაკეთეთ, ჩვენი დაპირებების შესრულების კუთხით. ჩვენ ვლაპარაკობთ გამოცდილებაზე და არა, უბრალოდ, ფერად პროექტებზე დაფუძნებით", - დასძინა სააკაშვილმა.

პრეზიდენტის თქმით, ის არც გუშინ დაბადებულა და არც შუშის კასრში უცხოვრია, რომ ვერ ხედავდეს, ჯერ კიდევ როგორი გაჭირვებაა ქვეყანაში, მათ შორის, წყალტუბოში. მიხეილ სააკაშვილმა პირობა დადო, რომ წყალტუბოში ყველა პარკი გაკეთდება, აშენდება ახალი აბანოები, ახალი აუზები და ამით 1 წლის განმავლობაში რამდენიმე ათასი სამუშაო ადგილი გაჩნდება. პრეზიდენტის თქმით, წყალტუბოს ექნება 24-საათიანი წყალმომარაგება და ყველა ოჯახში იქნება ბუნებრივი აირი. სააკაშვილის განცხადებით, ის არ აპირებს პოპულისტური ტყუილების თქმას, რომ ერთ ან ხუთ თვეში წყალტუბოელები გამდიდრდებიან ან ერთ წელში უმუშევრობა აღარ იქნება. თუმცა მან აღნიშნა, რომ უახლოეს წლებში უმუშევრობა ნამდვილად მოისპობა და თითოეული ოჯახის შემოსავალი მკვეთრად გაიზრდება.

მერაბიშვილი დასაქმების ერთიანი ელექტრონული ბაზის შედგენის პროცესს გაეცნო

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი და დასაქმების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ტრაპაიძე სოციალური მომსახურების სააგენტოში იმყოფებოდნენ, რომელიც სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვის პროგრამის ფარგლებში დასაქმების ერთიან ელექტრონულ ბაზას ადგენს.

პრემიერის აპარატის ინფორმაციით, სააგენტოს დირექტორმა რამაზ სულამანიძემ პრემიერ-მინისტრსა და დასაქმების მინისტრს პროგრამის მიმდინარეობა და მოცემული მომენტისთვის მიღებული შედეგები გააცნო.

საქართველოში ოჯახების 73 პროცენტთან ვიზიტის შედეგად გამოიკვეთა დასაქმებისა და გადამზადების მსურველთა პრიორიტეტული პროფესიები - ბანკის ოპერატორი, ბუღალტერი, ექთანი და მასწავლებელი. აგრეთვე გამოიკვეთა ის ძირითადი ასაკობრივი ჯგუფი, რომელსაც ყველაზე მეტად უჭირს სამსახურის შოვნა - 36-დან 55 წლამდე.

პრემიერ-მინისტრმა სააგენტოს ქოლცენტრიც დაათვალიერა, რომლის ძირითადი ფუნქციაც უკვე ბაზაში განთავსებულ ოჯახებში ზარების განხორციელება და "დასაქმების აგენტების" საქმიანობის მონიტორინგია. ვანო მერაბიშვილმა ერთ-ერთ ოჯახში დარეკა და აგენტების მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხზე იკითხა.

"სოციალური მომსახურების სააგენტოს საქართველოს მასშტაბით 3000 "დასაქმების აგენტი" ჰყავს. მათ "კარდაკარის" პრინციპით 763 000 ოჯახი უნდა მოიარონ და ოჯახების დასაქმებისა და გადამზადების საჭიროებები აღწერონ.

კოალიციის წევრები პრინციპულ საკითხებზე პარლამენტშიც ერთად იქნებიან

"კოალიცია "ქართულ ოცნებაში" შემავალი სუბიექტები პრინციპულ საკითხებზე პარლამენტში შესვლის შემდეგაც აუცილებლად ერთად იქნებიან," - ამის შესახებ ჟურნალისტებს კოალიციის ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა განუცხადა. მისი თქმით, კოალიციაში შემავალ ყველა პარტიას ერთნაირი ხედვა აქვს. ბიძინა ივანიშვილი უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, რომ შესაძლოა, კოალიცია დაიშალოს.

"საგანელიძემ თქვა რაღაც და მერე ისევ მე ჩამეკითხნენ. მე ვთქვი, რომ კოალიციაში 6 პარტია შედის და არჩევნებამდე ჩვენი კოალიციის დაშლის არანაირი საფრთხე არ არსებობს. პარლამენტში შესვლის შემდეგაც პრინციპულ საკითხებზე აუცილებლად ერთად ვიდგებით და ერთ მუშტად ვიქნებით შეკრულნი. კოალიციაში შემავალ ყველა პარტიას ერთნაირი ხედვა აქვს," - განაცხადა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, ყველა პარტია გამოთქვამდა სურვილს, რომ გაწევრიანებულიყვნენ მის პარტიაში, თუმცა, ივანიშვილის განცხადებით, მან ამაზე კატეგორიული უარი თქვა.

"არ მინდა იყოს ერთპარტიული სისტემა. ნორმალურია, თუ პარლამენტში შესვლის შემდეგ კოალიციაში შემავალი ყველა პარტია თავის ფრაქციას ჩამოაყალიბებს და ასევე ნორმალური იქნება, თუ რაღაც თემებზე კოალიციაში შემავალ პარტიებს შორის ვერ მოხდება შეჯერება და პოლემიკა გაიმართება," - აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

დიმიტრი შაშკინი კონგრესმენ ადამ სმიტს შეხვდა

ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის ფარგლებში საქართველოს თავდაცვის მინისტრი დიმიტრი შაშკინი კონგრესმენსა და შეიარაღებული ძალების კომიტეტის წევრ ადამ სმიტს შეხვდა.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრაზე დიმიტრი შაშკინმა და ამერიკელმა კონგრესმენმა აშშ-საქართველოს შორის თავდაცვის სფეროში მომავალ გაღრმავებულ თანამშრომლობასა და აშშ-საქართველოს შორის მიღწეულ ექვსპუნქტიანი გეგმის იმპლიმენტაციის საკითხებზე ისაუბრეს.

ექვსპუნქტიანი შეთანხმება თავდაცვის სფეროში გაღრმავებულ თანამშრომლობას გულისხმობს, კერძოდ, საჰაერო თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერებას, თავდაცვით საბრძოლო საინჟინრო სფეროში წვრთნასა და განათლებას, მხარდამჭერის ვერტმფრენების მიმართულებით წვრთნასა და განათლებას.

უწყებათაშორისი კომისია განათლების სამინისტროს რეკომენდაციით მიმართავს

უწყებათაშორისმა კომისიამ განათლების სამინისტროს რუსთავის #20-ე საჯარო სკოლის დირექტორის გათავისუფლების რეკომენდაციით მიმართა. ინფორმაციას ამის შესახებ უწყებათაშორისი კომისიის წევრი, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე თამარ კინწურაშვილი ავრცელებს.

მისივე თქმით, ეს არის უწყებათაშორისი კომისიის რეაგირება "ქართული ოცნების" რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ზვიად ძიძიგურის მიმართვაზე, რომლითაც მან უწყებათაშორის კომისიას 10 სექტემბერს მიმართა.

კინწურაშვილის განცხადებით, 5 სექტემბერს რუსთავში, #20-ე საჯარო სკოლაში "ნაციონალური მოძრაობის" მაჟორიტარობის კანდიდატ მამუკა ჩიქოვანს სკოლის პედაგოგებთან შეხვედრის შესაძლებლობა მიეცა, ხოლო 10 სექტემბერს ანალოგიური შეხვედრის მოთხოვნით სკოლის ადმინისტრაციას კოალიცია "ქართული ოცნების" მაჟორიტარობის კანდიდატმა მიმართა, თუმცა მოთხოვნაზე ძიძიგურს სკოლის ადმინისტრაციისგან პასუხი არ მიუღია.

თამარ კინწურაშვილის თქმით, ამ შემთხვევაში სახეზეა საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნორმის დარღვევა. კერძოდ, კანონის აღნიშნული ნორმა რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ სახელმწიფო და ადგილობრივი, ასევე, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული ორგანოების მიერ დაკავებული შენობების გამოყენებას იმ შემთხვევაში კრძალავს, თუ სხვა საარჩევნო სუბიექტებს იმავე ან ანალოგიური დანიშნულების შენობების იდენტური პირობების გამოყენების შესაძლებლობა არ ეძლევათ.

ანანი აფრიკელ ლიდერებს "ხალხის მოსმენისკენ" მოუწოდებს

გაერო-ს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა აფრიკელ ლიდერებს, რომლებიც დიდი ხანია ხელისუფლების სათავეში არიან, მოუწოდა, რომ რევოლუციების თავიდან ასაცილებლად ხალხში არსებულ საპროტესტო განწყობას მოუსმინონ.

დიპლომატის თქმით, "არაბული გაზაფხული" იმის დასაბუთება გახდა, რომ მსოფლიო დემოკრატიისაკენ მიისწრაფვის, აქედან გამომდინარე, ქვეყნების ლიდერებს უნდა ახსოვდეთ მოქალაქეების უფლებების შესახებ, რომელთაც არ სურთ, ავტორიტარულ რეჟიმებს შეეგუონ.

ანანმა, რომელმაც აგვისტოში სირიაში გაერო-ს საგანგებო დესპანის თანამდებობა დატოვა, მსოფლიოს ლიდერებს კიდევ ერთხელ მოუწოდა, ამ კონფლიქტის "სწრაფი გადაწყვეტის" გზები მოიძიონ და აღნიშნულთან დაკავშირებით გაერო-ს უუნარობას "სამარცხვინოც" უწოდა.

ინდონეზიაში ძლიერი მიწისძვრა მოხდა

14 სექტემბერს ინდონეზიაში, სუმატრას სანაპიროსთან ძლიერი მიწისძვრა მოხდა. 6,2 მაგნიტუდის მიწისძვირის ეპიცენტრი დედაქალაქ ჯაკარტადან 760 კმ-ში მდებარეობდა. დაშავებულებისა და ნგრევის შესახებ ინფორმაცია ჯერ არ არსებობს.

გაერო-ს ახალი დესპანის სირიაში მოლაპარაკებებს გამართავს

გაერო-ს სპეციალური დესპანი სირიაში ლაკდარ ბრაჰიმი სირიას პირველი ოფიციალური ვიზიტით ეწვია, სადაც ქვეყნის პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადთან და ოპოზიციურ ჯგუფებთან შეხვედრებს გამართავს.

ცოტა ხნის წინ ბრაჰიმი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრს ვალიდ ალ-მუალემს შეხვდა, რომელმაც აღნიშნა, რომ ის ბრაჰიმის მისიას მხარს უჭერდა.

2011 წლის გაზაფხულიდან დაწყებულ გამოსვლებს ქვეყანაში ათი ათასობით ადამიანი ემსხვერპლა.

ოპოზიციის აქტივისტების თქმით, ხუთშაბათს სირიის სამთავრობო ძალებმა იერიში ქალაქ ალეპოზე მიიტანეს.

სახელმწიფო სათათბირომ გუდკოვს დეპუტატის მანდატი მოუხსნა

რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ დეპუტატ გენადი გუდკოვს დეპუტატის მანდატი მოუხსნა. მას, დეპუტატობასთან ერთად, ბიზნესის წარმოება ბრალდება, ეს კი ქვეყნის კანონით იკრძალება.

გადაწყვეტილებას ხმა 291 დეპუტატმა მისცა, წინააღმდეგი 150გამოვიდა, თავი მხოლოდ სამმა დეპუტატმა შეიკავა.

"ედინაია როსიას" წარმომადგენლის ანდრეი ვორობიოვის განცხადებით, ეს გადაწყვეტილება პრეცედენტი იქნება, რომელიც მიუთითებს, თუ რა დაემართებათ იმ დეპუტატებს, რომლებიც ბიზნესის წარმოებას გადაწყვეტენ.

"სპარაველდივაია როსია" კი აღნიშნავს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება მხოლოდ სასამართლოს დასკვნის შემდეგ უნდა მიეღოთ.

ავღანეთში ავტოსაგზაო შემთხვევას 50-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა

ავღანეთში სატვირთო მანქანისა და ავტობუსის შეჯახებას, სულ მცირე, 50 ადამიანი ემსხვერპლა. ინციდენტი ქაბულსა და ყანდაარს შორის გზაზე მოხდა. ადგილობრივი ხელისუფლების ცნობით, დაღუპულებს შორის ქალები და ბავშვებიც არიან. ოფიციალური მონაცემებით, გადარჩა 6 ადამიანი, რომლებიც უახლოეს საავადმყოფოში გადაიყვანეს.

"ფუსი რაიოტი" სხვადასხვა პრემიებზეა წარდგენილი

რუსული პანკჯგუფის "ფუსი რაიოტის" წევრები ახალგაზრდული პრემიის "შექმნილია რუსეთში" ლაურეატები გახდნენ. გოგონების გამოსვლა მაცხოვრის ტაძარში კონკურსის ორგანიზატორებმა წლის საუკეთესო არტპროექტად მიიჩნიეს. სხვა გამარჯვებულებთან ერთად, "ფუსი რაიოტის" ლაურეატად დასახელებამ დაჯილდოებაზე მყოფი მაყურებელი გააღიზიანა, დარბაზიდან ისმოდა შეძახილები - ეს სირცხვილია. მაყურებლის ასეთი რეაქციის გამო კონკურსის ორგანიზატორებს ახსნა-განმარტებების გაკეთება მოუწიათ. მათ თქვეს, რომ არ მიესალმებიან გოგონების საქციელს, მაგრამ ყველას შემწყნარებლობისკენ მოუწოდებენ. გარდა ამისა, პანკჯგუფი კიდევ ერთ ჯილდოზე - სახაროვის პრემიაზეც წარადგინეს. ამჯერად იდეის ინიციატორები ევროპარლამენტში "მწვანეთა პარტიის" წევრები იყვნენ.

14 ისლამური ქვეყანა - ანტიდასავლური განწყობა

პირველი გვერდიდან

5 ათასამდე დემონსტრანტმა შენობებში შეჭრა სცადა, მაგრამ უშედეგოდ, რის შემდეგაც მათ საელჩოებს ცეცხლი წაუკიდეს. გერმანიაში საგარეო უწყებაში სუდანის ელჩი ახსნა-განმარტებისთვის უკვე დაიბარეს.

პოლიციამ ხართუმში დემონსტრანტების დაშლა ცრემლსადენი გაზით სცადა, მაგრამ არეულობა ხელჩართულ ბრძოლაში მალევე გადაიზარდა. **"როდესაც ჩვენს რწმენას ეხებიან, ჩვენს რელიგიას თავისუფლებისა და დემოკრატიის სახელით შეურაცხყოფენ, ჩვენ მათ ჯოჯოხეთისკენ მივუთითებთ,"** - ყვიროდა ერთ-ერთი დემონსტრანტი. **"ჩვენ აქ წინასწარმეტყველი მუჰამედის ღირსების დასაცავად მოვედით. პოლიციელები კი სიყალბის მხარეს დგანან და ჩვენ ცრემლსადენი გაზით გვიპირისპირდებიან. ეს დაუშვებელია. ჩვენ მუსლიმები ვართ და ჩვენი წინასწარმეტყველი გვიყვარს,"** - აღნიშნა კიდევ ერთმა დემონსტრანტმა.

მართალია, ევროპული სახელმწიფოებიდან გერმანიისა და ბრიტანეთის დიპკორპუსი პირველია, რომელიც გაღიზიანებულ მუსლიმთა თავდასხმის ობიექტად იქცა, მაგრამ სუდანი უკვე ისლამური სამყაროს მე-12 სახელმწიფოა, სადაც მეოთხე დღეა, ანტიამერიკული აქციები მიმდინარეობს. ეგვიპტეს, ერაყს, სირიას, ლიბიას, ყატარს, კუვეიტს, ღაზას სექტორს, იემენს, ირანს, ტუნისსა და ბანგლადეშს თურქეთი და ინდოეთიც დაემატნენ. მდგომარეობა პარასკევის ლოცვის დასრულების შემდეგ კიდევ უფრო გართულდა, როგორც ამას შეერთებული შტატების სპეცსამსახურებში ვარაუდობდნენ. თურქეთში დემონსტრანტებმა ანტიისლამური ფილმი საპროტესტო ლოზუნგებითა და ტრანსპარანტებით სტამბულის ბეიაზითის მეჩეთთან დაგმეს. **"ეს ნამდვილი პროვოკაციაა. ამ ფორმით მსოფლიოში მეორე 11 სექტემბრის გამოწვევას ცდილობენ,"** - განაცხადა დემონსტრანტმა ჰაკი ოზკანმა. საკუთარი სარწმუნოების დასაცავად შეიკრიბნენ დემონსტრანტები, ასევე, ბანგლადეშის დედაქალაქის ცენტრშიც. **"პრეზიდენტო ობამა, თქვენ ჯერ კიდევ არ დაგიკავებიათ დამნაშავე. კიდევ რამდენი უნდა ითმინონ მუსლიმებმა? ამ ფილმით ავტორმა მილიონობით მუსლიმს მოუკლა გული. პრეზიდენტო ობამა, ჩვენ მოვითხოვთ დამნაშავის დაკავებას და მის ჩამოხრჩობას,"** - თქვა საპროტესტო აქციის მონაწილე მაულანა იუნუსმა. ანტიმუსლიმური ფილმის "მუსლიმთა უმანკოების" ერთი-ერთი ავტორი კი, ეგვიპტელი კოპტი, როგორც ცნობილია, გუშინ ლოს ანჯელესის პოლიციამ დაცვის ქვეშ აიყვანა. პრეზიდენტმა ობამამ კი ახლო აღმოსავლეთში ძალადობის შეწყვეტასა და დიპლომატიური მისიების უსაფრთხოების გამკაცრებაზე მსჯელობისთვის კონგრესმენებს შეხვედრისკენ მოუწოდა. არეულობა ისლამურ სამყაროში, რომელიც ბევრს "არაბულ გაზაფხულს" ახსენებს, წინასწარმეტყველი მუჰამედის შეურაცხმყოფელი ფილმის "იუთუბში" განთავსებას მოყვა, რა დროსაც ლიბიაში ამერიკის 4 დიპლომატიც დაიღუპა.

ფეთქებდასაშიშ ახლო აღმოსავლეთში ძალადობის ტალღას დაემთხვა ლიბანში რომის პაპის ვიზიტი, რომელმაც ისლამურ სამყაროს სიმშვიდისკენ მოუწოდა და ლიბანი მათ მაგალითად დაუსახელა. პაპმა ასევე დაგმო ანტიისლამური ფილმი და მას რელიგიური ფალსიფიკაცია უწოდა.

იაპონია ბირთვულ ენერგიაზე უარს 2030 წლისათვის იტყვის

პირველი გვერდიდან

ატომურ ენერგიაზე უარის თქმის შემდეგ იაპონია აქცენტს განახლებად რესურსებზე გააკეთებს, თუმცა უახლოეს მომავალში ქვეყანა მაინც ნავთობის, გაზისა და ქვანახშირის უმსხვილეს იმპორტიორად დარჩება.

აღნიშნული გადაწყვეტილება მთავრობამ მინისტრების შეხვედრის შემდეგ გამოაცხადა, რომლებმაც გადაწყვეტილება საბოლოოდ შეათანხმეს.

დღეისათვის იაპონიის 50 რეაქტორს, ორის გარდა, უსაფრთხოებაზე შემოწმება უტარდება და ახალი კანონის ძალაში შესვლამდე მათი ამოქმედებაც იგეგმება.

თუმცა ქვეყანაში საპროტესტო ტალღა უფრო იზრდება და ხალხი ატომურ ენერგიაზე დაუყოვნებლივ უარის თქმას მოითხოვს.

ატომურ ენერგიაზე უარის თქმა ავტომატურად ნიშნავს, რომ იაპონია თხევადი ბუნებრივი გაზის მსოფლიოს უმსხვილესი იმპორტიორი გახდება და ნავთობის - მსოფლიოს მესამე ექსპორტიორი. ქვეყანა, ასევე, ქვანახშირის უმსხვილეს მომხმარებელს წარმოადგენს, რომელზე დამოკიდებულებაც, საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებზე ვარაუდოდ, კიდევ უფრო გაიზრდება.

მთავრობამ გასულ კვირას გამოთვალა, რომ მას ყოველწლიურად საწვავის იმპორტზე, დაახლოებით, 40,02 მილიარდი აშშ დოლარის დახარჯვა მოუწევს.

მთავრობის გადაწყვეტილებას ბიზნესის ლობისტები მკაცრად ეწინააღმდეგებიან და აცხადებენ, რომ ატომურ ენერგიაზე უარის თქმით ინდუსტრია ნაკლებად კონკურენტუნარიანი გახდება.

თუმცა ბირთვული ენერგის მოწინააღმდეგეები ამბობენ, რომ ეკონომიკურ საფრთხეებზე საუბრები გადაჭარბებულია. მათი თქმით, ბირთვულ ენერგიაზე უარის თქმით განახლებად ენერგიის წყაროებზე გაკეთდება აქცენტი, რაც ინოვაციასა და ეკონომიკის წინსვლას უფრო შეუწყობს ხელს.

"ბირთვულ ენერგიაზე მთლიანად უარის თქმა ქვეყნის ეკონომიკაზე დადებითად აისახება," - აღნიშნავს რიკიოს უნივერსიტეტის პროფესორი, რომელიც ენერგეტიკულ პოლიტიკას იკვლევს.

გამოკვლევების თანახმად, მოსახლეობის დიდი ნაწილი ბირთვულ ენერგიაზე უარის თქმაზე თანახმაა.

სადავო კუნძულები - ჩინეთ-იაპონიის საჭილდაო ქვა

სალომე ჭანიაშვილი

ექვსი ჩინური საპატრულო კატარღა შევიდა იმ კუნძულების წყლებში, რომლებზეც პრეტენზიას ჩინეთი და იაპონია აცხადებენ. ჩინეთი აცხადებს, რომ კატარღები იქ "კანონის დაცვის" მიზნით შევიდნენ. იაპონიის წარმომადგენლების განცხადებით კი, ორმა მათგანმა იქაურობა დაუყონებლივ დატოვა მას შემდეგ, რაც იაპონიის სანაპირო დაცვამ ისინი ყოველგვარი ძალის გამოყენების გარეშე გააფრთხილა. "ჩვენი საპატრულო გემები მათ ჩვენი ტერიტორიის დატოვებას სთავაზობენ," - ნათქვამია იაპონიის სანაპირო დაცვის განცხადებაში.

ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ აღიარა, რომ გემები მიახლოებულნიც არ იყვნენ კუნძულებთან და ხაზი გაუსვა, რომ ამით ჩინეთს არ დაურღვევია არავითარი კანონი. ოფიციალური პეკინის თანახმად, ამ ნაბიჯით მათ დემონსტრირება გაუკეთეს თავის იურისდიქციას კუნძულებზე და მისი ინტერესების უზრუნველყოფას ზღვაზე.

აშშ-მ ამ სიტუაციაში ორივე მხარეს სიმშვიდისკენ მოუწოდა. თავდაცვის მინისტრი ლეონ პანეტა ამ კვირაში დაიწყებს ვიზიტებს, რომლის ფარგლებშიც იგი ჩინეთს, იაპონიას და, აგრეთვე, ახალ ზელანდიას ეწვევა.

სადავო კუნძულებს იაპონიაში სენკაკუს უწოდებენ, ხოლო ჩინეთში სადავო მიწა დიაოტიაუს სახელითაა ცნობილი. ამ კუნძულებზე უთანხმოება გახდა კიდეც ორი ქვეყანას შორის დაძაბულობის ზრდის მიზეზი.

კუნძულებს, რომელიც ბუნებრივი რესურსებით არის მდიდარი, ამ დროისთვის იაპონია აკონტროლებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, ოფიციალური პეკინის გარდა, ამ კუნძულებზე პრეტენზია ტაივანსაც აქვს.

სადავო კუნძულები ძირითად სატრანზიტო ხაზთან ახლოს მდებარეობს. სავარაუდოა, რომ იქ ბუნებრივი აირის მნიშვნელოვანი რეზერვი არსებობდეს.

დაძაბულობა ორ ქვეყანას შორის აპრილში გამძაფრდა, როდესაც ტოკიოს გუბერნატორმა შინტარო იშიჰარამ განაცხადა, რომ იყიდდა და განავითარებდა კუნძულებს და რომ ისინი არ მოხვდებოდნენ ჩინეთის ხელში. აქტივისტები ორივე მხრიდან კუნძულებზე აგვისტოში ჩავიდნენ. იაპონიის საწინააღმდეგო საპროტესტო გამოსვლები ჩინეთის სხვადასხვა ქალაქში გაიმართა. სახელმწიფო მედიის განცხადებით, ჩინელებმა იაპონურ საქონელს ბოიკოტი გამოუცხადეს.

თუმცა სიტუაცია მკვეთრად მას შემდეგ გაუარესდა, როდესაც იაპონიამ განცხადება გააკეთა არქიპელაგის სამი კუნძულის შესყიდვის თაობაზე. მას შემდეგ, რაც ჩინეთმა იაპონიის გეგმები განიხილა, მას უკანონო უწოდა და იაპონია გააფრთხილა, რომ ამ ფაქტმა, შესაძლოა, ორი ქვეყნის ურთიერთობებზე უარყოფითი გავლენა იქონიოს.

სექტემბრის დასაწყისში კუნძულზე ჰონკონგელ აქტივისტთა ჯგუფი ჩავიდა, რასაც 10 იაპონელი ნაციონალისტის ჩასვლა მოჰყვა. ამან ჩინურ ქალაქებში საპროტესტო მსვლელობები გამოიწვია.

პოლიტიკური პლაკატები გვახსენებენ

პირველი გვერდიდან

წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილია პლაკატი, რომელმაც უნდა მიიპყროს ამომრჩევლის ყურადღება და განაწყოს იგი დადებითად. პლაკატზე გამოსახული კანდიდატი ამომრჩეველს ისეთ განცდას უჩენს, თითქოს მათ გვერდით დგას და ამით ხიბლავს. თუმცა, მახსოვს, როცა ქალაქში პირველად საარჩევნო პლაკატები გამოჩნდა, ბევრისთვის იყო ეს გამაღიზიანებელი. ერთგვარი ძალადობის განცდა გაჩნდა, რასაც თან ერთვოდა ჭუჭყი - მოწინააღმდეგეებისაგან დაზიანებული და ჩამოხეული პლაკატების სახით, რამაც თბილისის ისედაც ნაგვიანი და უსახური ქუჩები კიდევ უფრო უბადრუკი სანახავი გახადა. როგორც ჩანს, პარტიულ აქტივისტებს აქაც დოზირება მართებთ, რათა წინასაარჩევნო პლაკატმა უკურეაქცია არ გამოიწვიოს

ემზარ ჯგერენაია, გამოფენის იდეის ერთ-ერთი ავტორი და ორგანიზატორი: "გამოფენის კონცეფციის ერთ-ერთი მთავარი ელემენტი არის ერთგვარი "პოლიტიკური ნეიტრალიტეტი", რაც გულისხმობს 1989 წლიდან ყველა არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიისა და სუბიექტის საარჩევნო პლაკატის პროპორციულად, თანაბრად და მიუკერძოებლად წარმოდგენას. არცერთ პოლიტიკურ პარტიას, მიუხედავად მისი წარსული და დღევანდელი მდგომარეობისა, განსაკუთრებული ყურადღება არ ექცევა და არ არის უგულებელყოფილი. გამოფენის კონცეფცია შეიძლება შემდეგნაირად დახასიათდეს: "პოლიტიკურად ნეიტრალურობის დაცვა და პოლიტიკური მრავალფეროვნების ასახვა."

პლაკატი, როგორც ინფორმაციის გადაცემის დახვეწილი ვიზუალური ფორმულა, რომელიც განკუთვნილია თანამედროვეთათვის დასკვნების გამოსატანად და ასევე მათზე კონკრეტული ზემოქმედებისათვის, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გამოჩნდა და მას დამოუკიდებელი არტის სახე აქვს.

ამ ჟანრს რამდენიმე მახასიათებელი აქვს: პლაკატი უნდა შეიმჩნეოდეს შორიდანვე და ინფორმაცია უნდა გამოკვეთილად იყოს მიწოდებული. პლაკატში ხშირად გამოიყენება მხატვრული მეტაფორა, სხვადასხვა მასშტაბის ფიგურები, რომელიც რაღაც მოვლენას ასახავენ სხვადასხვა დროსა და ადგილზე. მნიშვნელოვანია ტექსტის შრიფტი, განლაგება, ფერი. პლაკატზე ხშირად ფოტოსთან ერთად იყენებენ ნახატს, ანდა ფერწერას. ითვლება, რომ პლაკატი წარმოიშვა, თეატრალური აფიშებისა და განცხადებებისათვის, სადაც უმთავრესი ადგილი ეკავა ორნამენტს და ფუგურის გამოსახულებას. ამბობენ, რომ პლაკატის პირველი ნიშნები ტულუზლოტრეკის ნახატებში გამოჩნდა. რაც გამოხატება ფორმების განზოგადებაში, გროტესკულობაში, გამოსახულებათა კადრირებაში, სილუეტის გამოყენებასა და ფერების მკვეთრი ლაქების გამოყენებაში. უმარავი ცნობილი მხატვარი იყო დაკავებული პლაკატით საფრანგესა და გერმანიაში. უფრო ადრე კი, ზოგჯერ პლაკატს მსხვილ გრავიურებსაც ეძახდნენ, რომელიც აგიტაციის როლს თამაშობდა. ასეთი იყო მაგალითად გერმანიის გლეხთა ომისა და რეფორმაციის პერიოდის "მფრინავი ფურცლები".

პლაკატის პოპულარობა გაიზარდა საზოგადოებრივ-პულიტიკური და კულტურული მოვლენების ზრდის პარალელურად. მიტინგებისა და მანიფესტაციების, ასევე სანახაობრივი წარმოდგენების ინტენსივობამ გამოიწვია პლაკატზე მოთხოვნა, რომელიც დაასაწყისში ხელით ანდა ლითოგრაფიის მეთოდით კეთდებოდა. მე-20 საუკუნის დასაწყისში სარეკლამო პლაკატებზე კონცენტრაცია იმ კონკრეტულ საგანზე კეთდებოდა, რომლის აქცენტირებაც სურდათ. კინემატოგრაფიის განვითარებასთან ერთდ ჩნდება პლაკატები კინოფილმების რეკლამირების მიზნით, 1920-30-იან წლებში კი პლაკატი იქცა პოპულარულ საშუალებად წარმოებასა და მშენებლობაში ტექნიკური უსაფრთხოების პროპაგანდისათვის. ცალკე ნაირსახეობას წარმოადგენს პოლიტიკური პლაკატი, რომელიც მე-20 საუკუნის დასაწყისში ჩნდება. სააგიტაციო პლაკატმა განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა პირველი მსოფლიო ომის დროს, შემდეგ მასში რევოლუციური პათოსი შევიდა.

ალსანიშნავია კომუნისტური პარტიის საარჩევნო პლაკატები და ანტიფაშისტური პლაკატები 1939-45 წლებში. პეხშტეინთან, ჰარტფილდთან, ტრეპკოვსკისთან და მენდესთან ერთად პლაკატებს იმ წლებში პიკასოც ხატავდა. ისევ გონება რომ დავძაბოთ, თვალწინ დაგვიდგება თოიძის "დედა სამშობლო გვეძახის" - ხიშტებზე წამომართული ქალის ფიგურა.



საჯარო ბიბლიოთეკაში გამოფენილ საარჩევნო პლაკატები, ამ თვალსაზრისით ერთნაირად მოსაწყენია და ძირითადად პორტრეტების გალერეას წარმოადგენს, გამონაკლისია მოქალაქეთა კავშირის 1999 წლის საარჩვენო პლაკატები, სადაც კრეატივი შეიმჩნევა - პოლიტიკურ ფიგურებს ამომრჩეველთა ფოტოები ანცვლებს. და კიდევ, ქართული საარჩვნო პლაკატის ერთ-ერთი თავისებურება, რასაც ყველა პარტია სხვადასხვა დროს მიმართავს - კალენდარია. ქართველ პოლიტიკოსთა ფანტაზია ამის იქით ვერ მიდის.

გულიკო გორდელაძე, ეროვნული ბიბლიოთეკის კულტურის პროგრამების განყოფილების მთავარი სპეციალისტი: "ექსპოზიცია აეწყო ერთი მხრივ ბიბლიოთეკის პლაკატებისა და ესტამპის განყოფილებაში დაცული მასალებით, ხოლო რაც გვაკლდა, პარტიებს ვთხოვეთ. ზოგმა დროებით გვათხოვა, რადგან თვითონაც ერთადერთი ჰქონდათ, ზოგმა გვაჩუქა, ბევრი პარტია დღეს აღარ არსებობს და განსაკუთრებით რთული ამ პლაკატების მოძიება იყო. 1992 წლის საპარლამენტო არჩევნებში 24 პარტია გავიდა და გვსურდა, ეს სურათი სრულად აღგვედგინა. ოჯახებიდან მოგვცეს ნოდარ ნათაძემ, თედო პაატაშვილმა, გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ ჩვენს თანამშრომელს, ლევან თაქთაქიშვილს, რომელიც "ვეფხისტყაოსნის" კოლექციონერია, უამრავი პლაკატი ჰქონდა შენახული. ჯაბა იოსელიანი, მრგვალი მაგიდის, ბლოკ თავისუფლების საარჩევნო პლაკატები მან მოგვაწოდა. თითქმის სრულად აღდგა კოლექცია, რომელსაც გავაციფრებთ და ბუკლეტად გამოვცემთ.

ერთადერთი პრინციპი, რითაც ექსპოზიციის აწყობისას ვიხელმძღვანელეთ, ქრონოლოგიის დაცვა იყო. გზამკვლევად კი გამოვიყენეთ ცესკოს ყოფილი თავმჯდომარის ლევან თარხნიშვილის წიგნი "არჩევნების ისტორია". პლაკატზე, როგორც წესი, არ არის მითითებული თარიღი და ქრონოლოგიის აღდგენაშიც პარტიები დაგვეხმარნენ".

გამოფენის ორგანიზატორია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო" მხარდაჭერით. გამოფენა 29 სექტემბრამდე გაგრძელდება.

იაპონური გოძილა ბრუნდება

"მონსტრების" რეჟისორი ფილმს ყველაზე ცნობილ მონსტრზე იღებს

ია ვეკუა

ყოველი ახალი კინოპროექტის დაანონსებისას ჰოლივუდი კიდევ ერთელ ამტკიცებს, რომ სანახაობრივი კინო იდეების მკვეთრ დეფიციტს განიცდის. ბოლო წლების განმავლობაში ამ ჟანრის ათიდან ხუთი ფილმი ან რიმეიკს წარმოადგენს, ან კომიქსის ეკრანიზაციას, არსებული ფრენჩაიზის რებუთს, სიკველს ან პრიკველს. ამჯერად კინოკომპანიები Warner Bros. და Legendary Pictures გოძილას ისტორიის მორიგი ეკრანიზაციისთვის ემზადებიან, რომლის პრემიერაც 2014 წელს გაიმართება.

ამერიკელები, უფრო კი ნიუ იორკელები, უკვე შეეჩვივნენ, რომ თუ ოდესმე დედამიწას უცხოპლანეტელები, მუტირების შედეგად წარმოქმნილი არსებები, რობოტები ან გაადამიანებული მაიმუნები დაიპყრობენ, ყველაფერი სწორედ აქ - მანჰეტენიდან დაიწყება. მსგავსი შინაარსის ფილმები კი თითქოს ამ განსაცდელებისგან თავის დახსნის ქვეცნობიერი სურვილია - დესეპტიკონებისა თუ იმავე გოძილას დამარცხება რეალურ საფრთხესთან გამკლავებად განიხილება, რაზეც ჰოლივუდი ძალიან კარგად თამაშობს.

თანამედროვე მაყურებელს გოძილა უფრო 1998 წელს გამოსული ამავე სახელწოდების ფილმით ახსოვს, რომლის რეჟისორიც ფილმი კატასტროფების ოსტატი რონალდ ემერიჰი გახლავთ. სხვათა შორის, ფილმი სანახაობრივად საკმაოდ კარგია, არც იუმორი აკლია და კვერცხებიდან გამოჩეკილი გოძილას წიწილების სევდაც ახლავს. ფილმს ძალიან კარგი საუნდტრეკიც ჰქონდა, განსაკუთრებით აღსანიშნავი კი პაფ დედისა და ჯიმი პეიჯის დუეტი ("ქაშმირის" მოტივებზე შექმნილი Come with Me), ჯგუფ Jamiroquai-ს Deeper Underground (ეს კომპოზიცია ჯგუფმა თბილისის კონცერტზეც შეასრულა), ასევე Rage Against the Machine-ს, Foo Fighters-ის, Green Day-სა და სხვათა კომპოზიციების ფრაგმენტები გახლდათ.



რეალურად გოძილა იაპონური პროდუქტია, დაახლოებით ისეთივე საკულტო, როგორც ამერიკელებისთვის კინგ კონგია და, ცხადია, პირველი და ყველაზე მეტი ფილმი სწორედ იაპონელებს აქვთ გადაღებული. ნამდვილი გოძილა პრეისტორიული ცხოველია, რომელიც საუკუნოვანი ძილიდან 1945 წელს ჰიროსიმასა და ნაგასაკის დაბომბვის შედეგად ერკვევა და მიღებული დასხივების შედეგად მუტაციას განიცდის. იაპონური გოძილა დაახლოებით 100 მეტრის სიმაღლისაა, გარეგნულად სპინოზავრს წააგავს და სწორედ ეს ფაქტორი გახლდათ იაპონელების გამაწყენების მიზეზი, როდესაც ეკრანებზე ემერიჰის ფილმი გამოვიდა - ემერიჰთან გოძილა უფრო ტირანოზავრს წააგავს, რის გამოც იაპონელებმა ფილმს პრაქტიკულად ბოიკოტი მოუწყვეს.

იაპონური გოძილა კი თავის "გარეგნობას" 1953 წელს ფრანგი ეჟენ ლურიეს მიერ გადაღებულ კლასიკურ ფილმს "ურჩხული 20 ათასი საჟენი სიღრმიდან" უნდა უმადლოდეს, რომელშიც პრაქტიკულად ანალოგიური სიუჟეტი ვითარდება - ბირთვული გამოცდების შედეგად ოკეანეში მცხოვრები უძველესი რეპტილია ილვიძებს და წყლის ზედაპირზე ამოდის. 1954 წელს გამოსული პირველი "გოძილას" ავტორმა, ისირო ჰონდამ სწორედ ამ ფილმის ნახვის შემდეგ გადაწყვიტა, რომ გოძილა დინოზავრის მსგავსი ცხოველი იქნებოდა. აღნიშნული ფილმი დღემდე მსოფლიო კინოს საუკეთესო კინონაწარმოებთა რიცხვშია შეტანილი და 1933 წლის "კინგ კონგთან" ერთად ჟანრის კლასიკად მიიჩნევა. "გოძილა" მაყურებელშიც ძალიან პოპულარული აღმოჩნდა, იმდენად პოპულარული, რომ მომდევნო წლებში მის შესახებ გადაღებული მთელი სერია გამოვიდა. გოძილაზე გადაღებული იაპონური ფილმების პირველი ნაკადის გადაღება 1975 წელს შეწყდა, ფრენჩაიზმა ცოტა ხნით დაისვენა, 1984 წელს კი ახალი ძალებით დაბრუნდა. 1999 წელს გოძილას "ფილმოგრაფიის" მესამე და ჯერჯერობით ბოლო ნაწილი დაიწყო, რაც ხუთ წელიწადს გაგრძელდა ანუ 2005 წლის შემდეგ იაპონელებს გოძილას შესახებ არაფერი გადაუღიათ.

სამაგიეროდ ჰოლივუდი იღებს, იაპონელების გასახარად კი ახალი გოძილა კლასიკური მონსტრის მსგავსი იქნება და არა ემერიჰისეული. ფილმის რეჟისორი გარეტ ედვარდსია, რომელმაც ორი წლის წინ ძალიან კარგი და ორიგინალური "მონსტრები" გამოუშვა. ჯერჯერობით ახალი პროექტის შესახებ მხოლოდ ეს და ისაა ცნობილი, რომ 2014 წლის გაზაფხულზე ნიუ იორკს ახალი კინოგანსაცდელი ელის...

ჩავეს-უმცროსი VS მარტინესი: რეკორდი იქნება

გიგა გურასაშვილი

მატჩი, რომელსაც განსაკუთრებით ელიან, სად უნდა გაიმართოს, თუ არა ლას ვეგასში. ერთმანეთთან ურთიერთობას გაარკვევენ ხულიო სეზარ ჩავეს-უმცროსი და სერხიო მარტინესი. მექსიკელი და არგენტინელი საშუალო წონაში კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) ჩემპიონობას იყოფენ. ამბობენ, 15 სექტემბრის მთავარი მოვლენა დასწრების მხრივ ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონების, ლენოქს ლუისისა და ევანდერ ჰოლიფილდის რეკორდს დაამხობსო.



ჩავეს-უმცროსი და მარტინესი WBC ქამრისთვის ლას ვეგასში იჩხუბებენ

ხულიო სეზარ ჩავეს-უმცროსზე დიდი ხანია ლაპარაკობენ, როგორც მამის - ლეგენდარული ჯეი სის (ასე მოიხსენიებდნენ ხულიო სეზარს ჩავესს) ღირსეულ შვილზე.

26 წლის განმავლობაში ჩავეს-უმცროსმა 47 ორთაბრძოლა ჩაატარა და აქედან მხოლოდ ერთი დაასრულა ფრით. ამასთან, 46-დან 32 ორთაბრძოლა ნოკაუტით დაასრულა და ამით ხაზი გაუსვა მრისხანე პანჩერის ოჯახურ მემკვიდრეობას.

ამ უქმეებზე საშუალო წონაში კრივის მსოფლიო საბჭოს ჩემპიონს საბჭოს ბრილიანტის სარტყელის მატარებლის, სერხიო მარტინესის სახით სახიფათო მეტოქე ელის. ერთნი არგენტინელს წონითი კატეგორიების მიუხედავად საუკეთესო მოკრივედ თვლიან. სერხიო მარტინესის მიმართ ასეთი დამოკიდებულება აქვს გავლენიან The Ring, Sports Illustrated, ESPN, Yahoo! Sports-ს.

37 წლის არგენტინელის მიღწევები კი ითვლის 49 გამარჯვებას, საიდანაც 28 ნოკაუტით დაასრულა. ამავე ნუსხაშია ორი ფრე და ორიც წაგება (ანტონიო მარგარიტოსთან და პოლ უილიამსთან). მრისხანე მეტოქეებთან მარცხის შემდეგ მარტინესმა ერთგვარი რეაბილიტირება შეძლო კელი პავლიკთან, როდესაც მას საბჭოსა (WBC) და ორგანიზაციის (WBO) საჩემპიონო ქამრები აართვა, მოგვიანებით კი უილიამსზეც იძია შური.

ახალგაზრდა ჩავესისთვის მარტინესთან ბრძოლა ყველაზე სერიოზული გამოცდა უნდა გამოდგეს. მექსიკელთან მატჩი არგენტინელის მომავალ კარიერასაც განაპირობებს - წაგების შემთხვევაში მარტინესმა, შესაძლოა, პენსიაზე გასვლა გადაწყვიტოს.

"უდიდესი შრომა გავწიეთ, მაგრამ ბოლომდე კმაყოფილი არ ვარ", - Fightnews.com-თან ინტერვიუში ამბობს ჩავესის მწვრთნელი ფრედი როუჩი.

მთავარ ბრძოლამდე მექსიკელი და არგენტინელი ერთმანეთს, ტრადიციისამებრ, სიტყვა-პასუხშიც გაეჯიბრნენ.

"დიდი ხნის განმავლობაში ცეკვაზე დავდიოდი, - ჩავესს პასუხობს მარტინესი, რომელმაც არგენტინელი ბალერონად მოიხსენია. - ჩემთვის ეს სიტყვებიც საკმარისია იმისთვის, რომ მას ცხვირ-პირი მივუნგრიო. რა თქმა უნდა, ძნელი იქნება მისი ნოკაუტში ჩაგდება, მაგრამ ჯერ დავქანცავ და მერე ნოკაუტის დროც დადგება".

არგენტინელის სიტყვები უყურადღებოდ არ დარჩენია მექსიკელს. ის პასუხობს: "ბევრ სისულელეს ამბობს და ამტკიცებს, რომ საუკეთესოა. სინამდვილეში კი რინგზე სირბილის მეტს არაფერს აკეთებს".

Boxingscene-ის ცნობით, ხულიო სეზარ ჩავეს-უმცროსი არგენტინელთან ჩხუბში ჰონორარის სახით მიიღებს სამ მილიონ დოლარს, ხოლო მარტინესის ჰონორარი განსაზღვრულია 1,4 მილიონით. ორივე მოკრივე გაყიდული ტრანსლაციებიდან დამატებით პროცენტს მიიღებს.

ლას ვეგასის მატჩზე დასასწრები ყველა ბილეთი უკვე გაყიდულია, რაც ლენოქს ლუისისა და ევანდერ ჰოლიფილდის ბრძოლისას დასწრების მხრივ დამყარებულ რეკორდს (19,151) გააუმჯობესებს - 19,186.

"დამიჯერეთ, ჩავესსა და მარტინესს შორის მატჩი კრივის ისტორიაში შევა", - წინასწარმეტყველებს ცნობილი პრომოუტერი ბობ არუმი.

ბოგატის ბანდა

ზურაბ თალაკვაძე

"გოლდენ სტეიტი" საინტერესო, აზრზე მოსული გუნდია. სწრაფი, უკომპლექსო, ოთხმოციანების კალათბურთით. მეჯიქების და ბერდების დროს, "უორიორზი" კრის მალინის, მიტჩ რიჩმონდის, ტიმი ჰარდეევის გუნდი იყო. ემ სი ჰამერის რეპის ფონზე, "გოლდენ სტეიტზე" პატარა ბიჭები პოპკორნის მიირთმევდნენ და ერთობოდნენ. ის გუნდი სადღაც იგებდა, ფლეი ოფში შედიოდა და იქ ერთწრიანი იყო. "უორიორზმა" მერე ცუდი ტრანსფერების სერია ხია და ვერ გაქაჩა. მალინის, ტიმის და რიჩმონდის გარეშე იცვლება ფრენჩაიზის მუღამი. დრაფტიდან მოდის ლატრელ სპრიუელი. კრის უებერი მოვიდა და ბიჭმა ეგრევე სხვაგან მოხია. სპრიუელთან ერთად გაიშალა პერსპექტივა და მერე ლატრელმა მთავარი მწვრთნელი თითქმის მიახრჩო. ბოსებმა ლატრელს თითი დაუქნიეს, ყური აუწიეს, გააფრთხილეს და ნიჭიერმა ახალგაზრდამ ცოტა ხანში პოლიციელს თავზე ნაყინი დაადო. პოლიციელს სპრიუელის იუმორი არ მოეწონა. იუმორი არც "გოლდენ სტეიტში" გაიგეს და ლატრელი მიდის "ნიქსში". "გოლდენ სტეიტში" კიდევ ერთი კარგი სერია დაიხურა. დღეს, "უორიორზი" სხვა გუნდია. ძველი, "მაკლარენის" სიჩქარით და უფრო რაფინირებული კალათბურთით.

კალიფორნიაში მისტერ ენდრიუ ბოგატი მივიდა. სერიოზული ცენტრი სერიოზული ტრავმებით. მისტერ ბოგატი ორჯერ ააწყვეს, სამჯერ გაჭრეს, ოთხჯერ დააბრუნეს. ბოგატი ადრე (2005) დრაფტის პირველი ნომერი იყო. ეს ძაან ადრე იყო. დღეს ენდი ბრუნდება. ახალ გუნდში ავსტრალიელი ცენტრი ლიდერია. ნუ, უნდა იყოს.

ენდი "მილუოკის" ქარიმი, შაკი, ადმირალი უნდა ყოფილიყო. ჭკვიანი ცენტრი საბონისის პასით და მუტომბოს დაცვით. ბოგატი ერუდირებული პერსონაჟია. მაგარი ჭკვიანი ტიპი და ქოუჩების მეგობარი. "მილუოკიში" ენდრიუ ბევრს პრობლემას აგვარებდა. მაიკლ რედი დიდ კუშს იღებდა და რედი მწვრთნელებს არ ელაპარაკებოდა, ებუტებოდა. ბოგატი ამ პრობლემას აგვარებდა. დრიუ გუდენი მარიხუანაზე იჯდა, ბოსები გუდენს ცვლიდნენ და ბოგატი შუაში ჩადგა, კარგად, მეგობრულად მოიქცა.

დღეს ენდრიუ სხვა კონფერენციაში, სხვა სიტუაციაში, სხვა ამბებშია.

"მილუოკი" აგრესიით იგებდა. "გოლდენ სტეიტი" ნაკლებს იგებს. და ძირითადად, მონტა ელისის და სტივენ კარის ნიჭით იგებდა.

"მილუოკი" სიღრმით აგვარებდა პრობლემებს. "გოლდენ სტეიტში" სიღრმის და ბევრი სხვა პრობლემაა მოსაგვარებელი.

"მილუოკი" აღმოსავლეთში იდგა. დასავლეთი უფრო დაუნდობელი, სადისტური, ცივი, სისხლიანი კონფერენციაა. დასავლეთის მერვე გუნდი აღმოსავლეთის პირველ ოთხში შევა. "მილუოკი" ბოგატის გარეშე იცვლება და "გოლდენ სტეიტი" ბოგატთან ერთად შეიცვლება. ასიანი შეიცვლება.

"უორიორზი" რეგულარულს 31 ოქტომბერს, ფინიქსში გახსნის. ენდი პირველ ხუთეულში იდგება. გუნდის გენერალური მენეჯერი, ბობი მაიერსი წაეჭორავა ჟურნალისტებს - ბოგატი დიდი ბიჭია, ცოტა არ უმართლებდა და ახალ გუნდში ახალი კარიერა ექნება. ენდიმ ამერიკული კარიერა 9.4 ქულით და 7.0 მოხსნით გახსნა. პროცესში, 2.3 პასს და მაგარ დაცვას ტოვებდა. ბოგატი სერიოზული პერსონალური დამცველია. რაღაც მომენტში, ტიმ დანკანის ინტელექტით აკეთებს საქმეს და თუ აკრიფა, მარკუს კემბის აგრესიით გითხრის ნერვებს. ენდრიუ ჩვენი კაცია. "გოლდენ სტეიტი" დასავლეთის ფლეი ოფის ვიზას დაითრევს. "უორიორზი" სოლიდური ბანდა გახდა.

ბოგუტით, რომელიც 7 არასრულ სეზონში 12.7 ქულას, 9.3 მოხსნას, 2.3 პასს და 1.6 დაფარებას იღებს.

რიჩარდ ჯეფერსონით, რომელიც "სან ანტონიოში" დაიღალა და თავისუფალ გუნდში თავისუფლად შეუბერავს. ჯეფერსონი ჭკვიანი პერსონაჟია. მესამე ნომერი, რომელიც პერიმეტრიდან შუთერობს. რიჩი კარიერით - 15.8 ქულა და თითქმის 5 მოხსნა.

კლეი ტომპსონით, რომელიც შარშან შევიდა ლიგაში და პირველ რეგულარულში 12.5 ქულა, 2.4 მოხსნა, 2.0 პასი და სამიანების სოლიდური პროცენტი (41.4) დაირტყა. ტომპსონი მოუმატებს და საკაიფო მეორე ნომერი გახდება. დაცვაში ცოტა უნდა აკრიფოს.

სტივენ კარიში გუნდმა მომავალი მიიღო. სწრაფი, მოქნილი, მოძველბიჭო და რეალური მომავალი. ელისთან ერთად ბიჭი ცოტა იკარგებოდა და ელისის გარეშე კარი შეიცვალა. უფრო გუნდური, დამთმობი მასტი გახდა. კარის 18 ქულა და 6 პასი სოლიდური თემაა. ენდრიუსთან ერთად უფრო სოლიდური იქნება.

დევიდ ლისთან ერთად. ლიმ შარშან 201. ქულა, 9.6 მოხსნა, 2.8 პასი. ლის სიმაღლე და ინტელექტი ჭრის. ლი და ბოგატი უკვე სერიოზულია.

"გოლდენ სტეიტთან" გუნდები შარშან 101.2 ქულას იღებდნენ. ცუდი, დაჩეხილი დაცვა ამ რეგულარულში (და ალბათ, ფლეი ოფში) უკეთესი იქნება. ბოგატთან ერთად, ყველა ვარიანტში უკეთესი უნდა იყოს.

"მილუოკი" შეიცვალა. ბოგატიც.

ენდრიუ ფეხზე დგას, მუხლები მოირჩინა და ოზი ფორმაშია.

"გოლდენ სტეიტიც".

ენდრიუ ბოგატი "გოლდენ სტეიტის" პრობლემებს მოაგვარებს

KILERS - ბრუნო და მისი შვიდი მეგობარი

ორიოდე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბრაზილიური "ფლამენგოს" ყოფილმა მეკარემ 2010 წელს განსაკუთრებული სისასტიკით მოკლა ქალბატონი, რომელიც მისგან დაორსულდა. ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ კიდევ შვიდი ფეხბურთელი, რომლებიც მკვლელობის ბრალდებით გაასამართლეს. ცხადია, ვიწყებით ბრუნოთი.



სამართალდამცავების მიერ დაკავებული ბრუნო სოუზა

ბრუნო სოუზა

"ფლამენგოს" ყოფილმა მეკარემ, ბრუნო სოუზამ ერთ-ერთ ბრაზილიურ წვეულებაზე გაიცნო მოდელი ელიზა სამუდიო. წყვილმა ერთი ღამე ერთად გაატარა და სამუდიო დაორსულდა. ამ ამბავმა ბრუნო განარისხა და ყოფილმა მეკარემ გოგონას მკვლელობა დაგეგმა. ამაში მას რვა ადამიანი დაეხმარა, მათ შორის, ყოფილი მეუღლე და ბიძაშვილი (ცნობისთვის: ბრუნოს ბიძაშვილი თავის დროზე პოლიციის ოფიცერი ყოფილა).

2010 წლის ივნისის დასაწყისში სამუდიო რიოს ერთ-ერთი სასტუმროდან გაიტაცეს. ბრუნომ და ლუის სანტოსმა (მეკარის ბიძაშვილი) მოდელი საკუთარ სახლში წაიყვანეს. გოგონა ჯერ აწამეს, შემდეგ კი მისი გვამი დაანაწევრეს და როტვეილერებს დაუყარეს, ნაწილი კი დააბეტონეს.

ბრუნო მოდელის გატაცების ბრალდებით 2010 წელს დააკავეს, ახლახან კი, მას შემდეგ, რაც დადგინდა, რომ სამუდიო მოკლულია, ბრუნოს მკვლელობის ბრალდებით გაასამართლებენ.

ენდრიუ ჰოლი

ენდრიუ ჰოლი 18 წლისაა. გაზაფხულზე მისმა გოლმა "სტოკ სიტის" ახალგაზრდული გუნდი ინგლისის თასის მეოთხედფინალში გაიყვანა, ზაფხულში კი "სტოკის" მესვეურები გუნდის ყველაზე იმედისმომცემ ახალგაზრდასთან სრულფასოვანი პროფესიონალური კონტრაქტის გაფორმებას გეგმავდნენ, მაგრამ...

ივნისის დასაწყისში ბრედფორშირის საგრაფოში გამართულ ერთ-ერთ წვეულებაზე ჰოლმა ეჭვიანობის ნიადაგზე თავისი მეგობარი გოგონა მოკლა (გოგონა სულ 15 წლის იყო). ენდრიუმ გოგონას დანით 60-მდე ჭრილობა მიაყენა.

მომხდარის შემდეგ ჰოლი ბარის დაცვის თანამშრომელთან მივიდა და თქვა: "მგონი ჩემი მეგობარი გოგონა მოვკალი. ის ხომ ძალიან მიყვარდა. ეს რა ჩავიდინე..." ენდრიუმ დანაშაული აღიარა, შემდეგ კი ისიც აღნიშნა, რომ სულ ტყუილად ეჭვიანობდა. ახალგაზრდა ფეხბურთელს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს, თუმცა, სავარაუდოდ, ათი წლის შემდეგ, შესაძლოა, ვადამდე გაათავისუფლონ.

ლიუკ მაკორმიკი

"პლიმუთის" მეკარე ყოფილი თანაგუნდელის ქორწილში ქეიფობდა, როდესაც "კეთილისმსურველმა" აცნობა, რომ მეგობარი გოგონა "რქებს ადგამს". შეზარხოშებული ლიუკი იმწამსვე "რენჯ როვერის" საჭეს მიუჯდა და შეყვარებულთან საქმის გასარჩევად გაემგზავრა, მაგრამ დანიშნულების ადგილამდე ვერ მივიდა. მთვრალი ლიუკი "ტოიოტას" ფირმის მანქანას შეეჯახა და შიგ მჯდომი ორი ბავშვი მოკლა, მათი მამა კი სამუდამოდ დაასახიჩრა.

მეკარეს შვიდი წლითა და ოთხი თვით პატიმრობა მიუსაჯეს. ამ ტრაგედიამდე ერთი წლით ადრე ლიუკი აქტიურად მონაწილეობდა აქციაში "უსაფრთხო მგზავრობა".

კორტნი მეპენ-უოლტერი

"მანჩესტერ სიტისა" და ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელმა, 18 წლის მეპენ-უოლტერმა 1 სექტემბერს მანჩესტერის ცენტრში მეგობართან ერთად იმპროვიზებული რალი მოაწყო. თინეიჯერების ავტორბოლა ტრაგედიით დასრულდა. ავარიის შედეგად დაიღუპნენ 37 წლის ქალბატონი და მისი 32 წლის ძმა. გარდაცვლილი ქალბატონის ორი ვაჟი მძიმე მდგომარეობაში საავადმყოფოში გადაიყვანეს. ახლა ამ საქმესთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს.

ვლადისლავ პისკუნი

2010 წლის შემოდგომაზე "სევასტოპოლის" მცველი ქალქის ერთ-ერთ მთავარ ქუჩაზე თავისი BMW-თი მიქროდა და "მიცუბიშის" მარკის ავტომობილის გასწრება გადაწყვიტა. პისკუნმა საჭე ვერ დაიმორჩილა, ტროტუარზე ავარდა და ქალბატონსა და ორ ბავშვს დაეჯახა. სამივე ადგილზე გარდაიცვალა. დაიღუპა პისუკნის მანქანაში მჯდომი ორსული ქალბატონიც. თავად ფეხბურთელი ტვინის შერყევით გადარჩა. სასამართლომ პისკუნს ჯერ ექვსწლიანი ნადნახევრიანი პატიმრობა მიუსაჯა, შემდეგ კი სასჯელი 9 წლამდე გაუზარდა.

ლი ჰიუზი

რვა წლის წინ "ვესტ ბრომვიჩის" თავხოტორა ფორვარდი ლი ჰიუზი დამნაშავედ ცნეს და ექვსწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, მას შემდეგ, რაც მისი მიზეზით მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას ერთი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ჰიუზმა დანაშაული აღიარა, ციხეში ისლამი მიიღო და სასჯელის ნახევრის მოხდის შემდეგ ამნისტიაც შეეხო. ციხეში ჰიუზი ადგილობრივი გუნდის შემადგენლობაში თამაშობდა. Mეტიც, მისი წყალობით მოეწყო საქველმოქმედო მატჩი და 5000 გირვანქა შეგროვდა უმწეოებისთვის. ციხიდან გამოსვლის შემდეგ 31 წლის ჰიუზმა საფეხბურთო კარიერა განაახლა და გააფორმა კონტრაქტი "ოლდემთან". უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში კი "ნოთს ქაუნთის" ღირსებას იცავდა.

გათავისუფლების შემდეგ ჰიუზმა აღიარა, რომ ციხეში შეხვდა გარდაცვლილი დუგლას გრემის ქალიშვილს და სცადა მისთვის ბოდიში მოეხადა. გასული წლის დეკემბერში ჰიუზი კიდევ ერთხელ გაეხვა შარში. ის პოლიციამ გაუპატიურების ბრალდებით დააკავა, თუმცა, შემდეგ სამართალდამცავები მხოლოდ ჯარიმით შემოიფარგლნენ.

გევინ გრანტი

2005 წელს "მილუოლის" 21 წლის ფორვარდს, ვინმე ჯამალ მურის მკვლელობა დასდეს ბრალად. "მილუოლმა" ფეხბურთელთან, რომელმაც რამდენიმე თვე საგამოძიებო იზოლატორში გაატარა, კონტრაქტი გაწყვიტა, თუმცა, გრანტს ბრალდება არ დაუმტკიცდა და მან კარიერა "უიკომბში" გააგრძელა. ორი წლის წინ კი "ბრედფორდის" ფეხბურთელის სტატუსით მყოფ გრანტს ბრალად დასდეს 21 წლის ლეონ ლაბასტაიდის მკვლელობა. სასამართლომ დაადგინა, რომ ორივე მკვლელობა ბანდ-დაჯგუფებებს შორის არსებულ გარჩევებს უკავშირდებოდა და გრანტს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა.

ანტონ ტიტერინი

2010 წლის სექტემბერში რიაზანის "ზვეზდას" მეკარემ ანტონ ტიტერინმა გადაწყვიტა შვებულება ტულაში გაეტარებინა. იქ მეგობრებთან ერთად ღამის კლუბ "კანინოს" ესტუმრა. ბარში ატყდა ჩხუბი, რომელშიც ტიტერინიც მონაწილეობდა. მცირე აყალმაყალი მასობრივ არეულობაში გადაიზარდა, რომელმაც ერთი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

ტიტერინი სხვებთან ერთად დააკავეს. იგი საქმეში მთავარ დამნაშავედ გადიოდა. მეკარემ პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო და დანაშაული აღიარა. როგორც ამბობენ, ტიტერინმა ეს ცივი გონებით გააკეთა. საქმე ის არის, რომ მეკარეს დანაშაულის აღიარების შემდეგ არაგანზრახ მკვლელობისთვის ხუთწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, ხოლო თუ საქმე ჯგუფური მკვლელობის ბრალდებით აღიძვრებოდა, ტიტერინს, სულ მცირე, 12-წლიანი პატიმრობა ემუქრებოდა.

ოქრიაშვილის გოლი უეფამ საუკთესოდ აღიარა

ევროპულ ფეხბურთში სანაკრებო კვირეული დასრულდა და უეფამ კვირის ლაურეატები დაასახელა. უნდა ითქვას, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის ბოლო ერთი კვირა მართლაც საოცრად მნიშვნელოვანი გამოდგა. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ბელარუსის დამარცხების შემდეგ ქეცბაიას ნაკრებმა ესპანეთთან იომა. ხიზანიშვილი და ლორია ამ თამაშის შემდეგ რამდენიმე საიტმა შესარჩევი ციკლის მაჩტებიდან შედგენილ სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა, აი ბელარუსის ნაკრების კარში თორნიკე ოქრიაშვილის მიერ გატანილი გოლი კი უეფას ვებვერდმა კვირის გოლად დაასახელა.

"20 წლის ბერძენმა მცველმა იანის პოტურიდისმა საბერძნეთისა და კვიპროსის ახალგაზრდული ნაკრები გუნდების მატჩში ლამის ცენტრიდან გაიტანა გოლი, მიუხედავად ამისა კვირის გოლად მისი თანატოლის თორნიკე ოქრიაშვილის მიერ საქართველო-ბელარუსის მატჩში გატანილი გოლი უნდა ვაღიაროთ. ოქრიაშვილმა სამი მეტოქე მოატყუა და დარტყმაც ოსტატურად შეასრულა", - წერს უეფას ოფიციალური ვებგერდი.

აქვე გეტყვით, რომ კვირის მოთამაშედ რობერტო სოლდადო დასახელდა, რომლის გოლის წყალობითაც ესპანეთის ნაკრებმა რის ვაივაგლახით შეძლო საქართველოს ეროვნული გუნდის ძლევა.

ლორია ვარჭიშს ერთ თვეში განაახლებს

თბილისის "დინამოსა" და საქართველოს ეროვნული ნაკრებსი მეკარე, საქართველო - ესპანეთის მატჩის გმი რი გიორგი ლორია ვარჯიშს ერთ თვეში განაახლებს. ესპანეთის ნაკრებთან შეხვედრაში მიღებული ტრავმა სერიოზული გამოდგა, გიორგის მედიალური გვერდითი იოგის ნაწილობრივი დაზიანება აღენიშნება, ასევე, ქუსლის კუნთისა და მუხლქვეშა კუნთის ძლიერი დაჭიმულობა.

ამრიგად გიორგი ლორია საქართველოს ეროვნულ ნაკრებს 2014 წლსი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მორიგი მატჩებში სავარაუდოდ ვეღარ დაეხზმაოება. შეგახსენებთ "ჯვაროსნებიძ მომდევნო ორ შეხვედრას გასვლაზე გამართავენ, ჯერ 12 ოქტომბერს ბელარუსში, შემდეგ კი 16 ოქტომბერს ფინეთში.

სექსი მწვრთნელთან, სერენას წარმატების საიდუმლო

ამერიკელი ჩოგბურთელი სერენა უილიამსი უკანასკნელ პერიოდში საუცხოო ჩოგბურთს აჩვენებს. ამარცხებს პრინციპულ მეტოქეებს და ტურნირს ტურნირზე იგებს (უიმბლდონი, ოლიმპიური თამაშები და აშშ-ს ღია პირველობა) და ყოველივე მას შემდეგ, რაც ტრავმის გამო სერენა კინაღამ დიდ ჩოგბურთს დაემშვიდობა. ჩოგბურთის სპეციალისტებმა სერენას ასეთი წარმატება მხოლოდ მისი ოსტატობით ვერ ახსნეს და უილიამსის წარმატების სხვა მიზეზების ძიება დაიწყეს. სულ მალე ყურადღება სერენას ახალ მწვრთნელ, ბულგარელ გრიგორ დიმიტროვს მიაქციეს.

დიმიტროვმა სერენასთან მუშაობა 2012 წლის ივნისში დაიწყო და სწორედ ამას მოჰყვა სამი ტრიუმფალური ტურნირი. დიმიტროვის სამწვრთნელო ნიჭის თაობაზე სპეციალისტებს ეტყობა ეჭვი შეეპარათ და ძიება სხვა კუთხით გაგრძელდა. გაირკვა, რომ მწვრთნელსა და შეგირდს შორის სასიყვარულო რომანია გაბმული და სპეციალისტებმაც მაშინვე გაიხსენეს ერთი ძველი ისტორია სერენას კარიერიდან. თავის დროზე იმისთვის, რომ სერენას სპორტული შედეგები გაზრდილიყო, მამამისმა სპეციალურად დაიქირავა მწვრთნელი მამაკაცი, რომელსაც სერენასთან სექსი ექნებოდა. ის ამბავი საკმაოდ სწრაფად დასრულდა. მართალია სერენამ თამაში გააუმჯობესა, მაგრამ ახალგაზრდა კაცმა სერენას მოზღვავებულ ენერგიას ვერ გაუძლო და ერთ-ერთი "ვარჯიშის" დროს ფანჯრიდან გაიქცა. ამის შემდეგ დაურეკა სერენას მამას და ურთიერთობა ისე გაწყვიტა, რომ ჰონორარიც არ მოუთხოვია. ვნახოთ რამდენ ხანს "გაქაჩავს" სერენას ბულგარელი მწვრთნელი.

მერკელი ფეხბურთის "გაცისფერებას" ემხრობა

გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე ფეხბურთელებს ჩრდილიდან გამოსვლისკენ მოუწოდება და ურჩევს საკუთარი სექსუალური მიდრეკილებების შესახებ ღიად ისაუბრონ. ბუნდესკანცლერმა ასეთი განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც გერმანულ მედიაში გამოქვეყნდა "გეი" ფეხბურთელის ანონიმური წერილი, რომელშიც ნათქვამია თუ როგორ ეშინია მას საკუთარი სექსუალური ორიენტაციის გამჟღავნების.

"ჩემი აზრით ყველას უნდა ეყოს ვაჟკაცობა და აღიაროს, რომ "გეია. გერმანიის პოლიტიკურ ცხოვრებაში ამის მაგალითები არის. ჩვენს ქვეყანაში საკუთარი სექსუალური ორიენტაციის არავის უნდა ეშინოდეს", - აცხადებს გერმანიის კანცლერი.

მერკელამდე ამავე თემას "ბაიერნის" პრეზიდენტი ული ჰაინესი გამოეხმაურა, რომელმაც აღნიშნა, რომ ადრე თუ გვიან არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ფეხბურთელები გუნდებში აუცლიებლად გამოჩნდებიან. აი მიუნხენის "ბაიერნის" კაპიტან ფილიპ ლამს კი მიაჩნია, რომ თუ გუნდში რომელიმე ფეხბურთელის შესახებ შეიტყობენ, რომ იგი "გეია" დანარჩენი ფეხბურთელები მას აუცილებლად მასხრად აიგდებენ.

"ლიგამუსმა" ჩემპიონთა ლიგისკენ ნაბიჯი გადადგა

პირველი გვერდიდან

გალაქტიონ ლაითაძემ ჰეთ-თრიკი შეასრულა

ფოტო: ალექსანდრეს ბაბაიანის

ჩემპიონთა ლიგის წინასწარი ეტაპი ახალი ფორმატით მიმდინარეობს, რომლის მიხედვით 22 გუნდი ასპარეზობას გააგრძელებს მერვედფინალში, რომელიც, თავის მხრივ, ოთხ ჯგუფად იქნება დაყოფილი (ორი ჯგუფი ექვსი გუნდისგან შედგება, დანარჩენი კი ხუთ-ხუთი გუნდისგან). "ლიგამუსი" ახლა სწორედ მასში მოსახვედრად იბრძვის და პოლონური არკონიას 16:4 დამარცხებით მისკენ ერთი ნაბიჯი უკვე გადადგა. საქმე ის არის, რომ წინასწარ ეტაპზე მოსახვედრად საჭიროა საკვალიფიკაციო ბარიერის გადალახვა, რომელიც ორი - A და B ჯგუფებისგან შედგება. თითოეულ ჯგუფში პირველ და მეორე ადგილზე გასული კლუბები იმ 22 გუნდს შორის აღმოჩნდება, რომელიც მერე ჯგუფური ეტაპის თამაშებს შეუდგება.

ახალი ფორმატით ასპარეზობის საშუალება მიეცათ იმ კლუბებს, რომლებიც ადრეულ გათამაშების წინასწარ ეტაპზე ამას იყვნენ მოკლებული. ფინანსური კრიზისისა და შიდა პრობლემების გამო რამდენიმე მოწინავე გუნდი წლევანდელი გათამაშების მიღმა აღმოჩნდა. პირველ ყოვლისა, მხედველობაში გვყავს ტიტულის მფლობელი "პრო რეკო" (იტალია), "მლადოსტ ზაგრები" (ხორვატია), "ვასას ბუდაპეშტი" (უნგრეთი) და გუნდები მონტენეგროდან.

მიუხედავად ამისა, 2012/13 წლების ჩემპიონთა ლიგაზე არაერთმა სახელოვანმა კლუბმა მოიყარა თავი. გათამაშების გეოგრაფიული არეალი მოიცავს 12 ქვეყანას, რომელიც საკვალიფიკაციო წრის დასრულების შემდეგ უფრო გაიზრდება. იმედია, მათ შორის აღმოჩნდება თბილისური გუნდიც, რომელსაც მომდევნო ეტაპზე გასასვლელად საკვალიფიკაციოს A ჯგუფში ურთიერთობის გარკვევა უწევს ევროპის თასის შარშანდელ ფინალისტთან, ესპანეთის "საბადელთან", რომელიც მეორე შემადგენლობით ჩამოვიდა თბილისში, ბელარუსულ "ვიტბიჩთან" და პოლონურ "არკონიასთან". ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლის შემთხვევაში "ლიგამუსი" წინასწარი ეტაპის A ჯგუფში "შურმანთან" (ჰოლანდია), "ვოულიაგმენთან" (საბერძნეთი), "სპარტაკთან" (რუსეთი), "ეგერთან" (უნგრეთი) და "ვასპო'98"-თან (გერმანია) დაიკავებს ადგილს, მეორე ადგილზე გასვლის შემთხვევაში კი D ჯგუფში - "ჟეგედ-ბეტონთან" (უნგრეთი), "პარტიზანთან" (სერბეთი), "სპანდაუ 04"-თან (გერმანია), "სიეს-ემ დიგისთან" (რუმინეთი), "გალათასარაისთან" (თურქეთი).

საკვალიფიკაციო წრეზე მესამე და მეოთხე ადგილზე გასული გუნდები 19-21 ოქტომბრს ევროპის თასის მეორე საკვალიფიკაციო წრეზე გააგრძელებენ ასპარეზობას.

გამომცემლობა
ინტელექტი
გთავაზობთ

ერთი შედევრის ყველა ქართული თარგმანი

მსოფლიო კლასიკოსები და ქართველი მთარგმნელები
შედევრების თარგმნის უწყვეტი ტრადიცია



დაგვიკავშირდით:
თბილისი,
ილია ჭავჭავაძის გამზ. N5
ტელ: (+995 32) 2 25 05 22
(+995 32) 2 47 55 54
inteleqti@caucasus.net
info@intelekti.ge
www.intelekti.ge
www.intelekti.ge